საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 30 ნოემბერი. 2016 წ. №223 (8114), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სად იკარგება ხალხის ფული?!

„ოცნების“ ხელისუფლების თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი!

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების შესახებ დაზუსტებულ მონაცემებს გვაწვდის.

როგორც IDFI-ში განმარტავენ, აღნიშნულ ინფორმაციას 2014 წლის ივნისიდან ითხოვდნენ, თუმცა მისი მიღება მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, რაც 2016 წლის 19 ნოემბერს IDFI-მ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პროკურატურას ერთობლივი განცხადებით მიმართეს და შსს-ს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ფაქტზე გამოძიების დაწყება მოითხოვეს.

იხ. 5 გვ.

მთავრობაში პრემიები საერთოდ უნდა აიკრძალოს

პრემიების საკითხი ყოველთვის წუხილის საგანი იყო. ასეთი **რამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნამდვილად უნდა დასრულდეს, –** ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **მანანა კობახიძე** აცხადებს.

„თავის დროზე პარლამენტში იყო ასეთი პრაქტიკა და დეპუტატებიც იღებდნენ პრემიებს. ჩვენ ეს ერთხელ და სამუდამოდ დავასრულეთ. აუცილებელია, მთავრობაში იყოს ძალიან მკაცრი მიდგომა. ის, რომ პრემიები საერთოდ აიკრძალოს, ამაზე არ არის საუბარი, მაგრამ ცხადია, მინისტრებზე პრემიები არ უნდა გაიცემოდეს. მე მგონი ასეთი პრაქტიკა დავასრულეთ. IDFI-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია 2013 წლის მონაცემებს ეყრდნობა. ამის შემდეგ დარწმუნებული ვარ, რომ მინისტრებზე პრემიების გაცემა აღარ ხორციელდებოდა. მონიტორინგი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და საჭირო“, – განაცხადა მანანა კობახიძემ.



③ სახალხო პოეტის სურვილი და თხოვნა

პირველი ლედის სექსფანტაზიები, ④

ანუ მელას რაც ელანდებოდაო...



გავიგონე ავტომატიდან გასროლის ხმა... ხელები თავზე ავიფარე, შემეშინდა და დავწექი

კულ-ის ყოფილმა მაღალჩინოსანმა **გიორგი დგებუაძემ („მასტერამ“),** რომელიც ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზეა ბრალდებული, აღნიშნულ საქმეზე დაიკითხა. დგებუაძემ 2006 წლის 12 იანვრის სპეცოპერაციის დეტალები გაიხსენა და განაცხადა,რომ მას უშუალოდ სროლებში მონაწილეობა არ მიუღია. მისი თქმით, სამმართველოსა და უშუალოდ მისი მოვალეობა, ნავთლუღის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის ბლოკირება და იმ ახალგაზრდების გადაადგილების კონტროლი იყო, რომლებიც ავტოსადგურის ტერიტორიაზე მის თანამშრომელს უნდა მიეყვანა.

მისივე თქმით, სროლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, შეწყვეტის შემდეგ კი, ის ვითარების გასარკვევად ავტოსადგურის ტერიტორიაზე შევიდა. ბრალდებულის ინფორმაციით, მან დაინახა რომ შალვა თათუხაშვილი დათა ახალაიას ესაუბრებოდა სპეცოპერაციის დეტალებზე და იმაზე თუ რატომ და როგორ მოხდა ახალგაზრდების გარდაცვალება.

დგებუაძის განცხადებით, სპეცოპერაცია დათა ახალაიას მოადგილესთან დავით ჩხატარაშვილთან დაიგეგმა, სადაც გადაწყდა, რომ იმ სამი ახალგაზრდის და იმ პირების დაკავება, ვისაც ისინი ავტოსადგურში უნდა შეხვედროდნენ, სპეცრაზმს უნდა მოეხდინა.

დავით დვალი, ჯარჯი აქიმიძე:

„რუსთავი-2“ მიუკერძოებელი ტელევიზია უნდა გახდეს!

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე განცხადებას ავრცელებენ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„რუსთავი-2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესი ფინალს უახლოვდება – უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სხდომა უახლოეს მომავალში განაჩენს გამოიტანს.

ჩვენ, ვინც დავაფუძნეთ, ნულიდან შევქმენით და ქვეყნის ნომერ პირველ ტელევიზიად ვაქციეთ „რუსთავი-2“, ვისაც სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებმა იძულებით, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ დაგვათმობინეს დამოუკიდებელი მედიასაშუალება, გვინდა კიდევ ერთხელ განვაცხადოთ:

2012 წელს შევიტანეთ პროკურატურაში განცხადება, ჩატარებულიყო გამოძიება დამფუძნებლებისთვის ტელევიზიის საკონტროლო პაკეტის ჩამორთმევის თაობაზე.

2015 წელს, მიუხედავად გაწელილი სამართლებლივი პროცესისა, პროკურატურამ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გვცნო დაზარალებულად, თუმცა გაუგებარი მიზეზების გამო საქმე შემოდო თაროზე და არ მისცა მას მსვლელობა.

ამ პროცესის პარალელურად, 2015 წლის აგვისტოში ქიბარ ხალვაშმა დაიწყო სამოქალაქო დავა „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ. ვინაიდან ეს პროცესი აღმოჩნდა ერთადერთი სამართლებლივი გზა, ჩვენ უპირობოდ დავუჭირეთ მხარი მოვლენების ამგვარ განვითარებას.

დღეს, სასამართლო დავის დაწყებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ, პროკურატურის უმოქმედობის გამო, ჩვენ კვლავ არც გაგვაჩნია არანაირი სამართლებლივი ბერკეტი, აქტიურად ჩავერთოთ არსებულ პროცესში.

იმედი გვაქვს, რომ დიდი პალატის გადაწყვეტილება იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი სამართლიანობის აღდგენის ხანგრძლივ პროცესში. რას შეეხება საქმის სამართლიან ფინალს, ის დადგება მხოლოდ მაშინ, როდესაც „რუსთავი-2“ დაუბრუნდება დამფუძნებლებს.

დარწმუნებული ვართ, მოვა დრო და „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდისტული მანქანა კვლავ გახდება ზეპარტიული, დამოუკიდებელი, კრიტიკული, მიუკეძოებელი მედიასაშუალება. მხოლოდ ასეთი „რუსთავი-2“ შეუწყობს ხელს ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის განვითარებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

გაბრაზებული კაცი სათქმელს ვერ თოკავს! ⑥

დავით მხეიძე

ცნობილი გახდა რუსეთის განზრახვა გალში სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ, სადაც კრემლი 15-20 ათასი სამხედროს განთავსებას აპირებს და ყველაფერი ეს, პუტინი-ტრამპის სატელეფონო საუბრის შემდეგ! ხომ წარმოგიდგენიათ რა „სიკეთის“ მომტანი იქნება საქართველოსთვის პუტინი-ტრამპის პირისპირ შეხვედრა...

მოქალაქეებს, რომელთაც სესხი დოლარში 2015 წლის იანვრამდე აქვთ აღებული, კრედიტის ლარში გადატანა შეეძლებათ

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად, ე.წ. ლარიზაციის გეგმა შეიმუშავა. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, მოქალაქეებს, რომელთაც სესხი დოლარში 2015 წლის იანვრამდე აქვთ აღებული კრედიტის ლარში გადატანა შეეძლებათ.

„მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად შეიმუშავა ე.წ. ლარიზაციის გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ნაბიჯები. ამ გეგმის მიხედვით, როგორც ერთჯერადი სოციალური აქცია, 2015 წლის პირველ იანვრამდე, ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა არსებული კურსის მინუს 20 პუნქტის ოდენობით მოხდება“, — განაცხადა პრემიერმა.

მისივე განმარტებით, თუ კურსი 2.5 იქნება, აშშ დოლარში არსებული სესხის კონვერტაცია 2.30-იანი ნიშნულით მოხდება.

„მსგავს სესხებზე წინასწარ დაფარვის საკომისიოც გაუქმდება. ბანკები ვალდებული იქნებიან, გადაწყვეტილების მიღებიდან ათ დღეში, ყველა კლიენტს შეტყობინება გაუგზავნონ, ვისაც ეს გადაწყვეტილება პოტენციურად შეეხება, რაც ლარის კურსზე ზეწოლას საგრძნობლად შეამცირებს“, — განაცხადა პრემიერმა.

ონლაინ სესხების გაცემა აიკრძალება

პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში ონლაინ სესხების გაცემა აიკრძალება. მისი თქმით, მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად მომხმარებელთა უფლებების დაცვის პაკეტს ამზადებს, რომლის თანახმადაც ონლაინ სესხების გაცემა აღარ მოხდება.

„ეს მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ჩვენი საზოგადოების მხრიდან. ეს ნაბიჯი გადადგმულია სწრაფი ეკონომიკური განვითრებისთვის“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ჯანდაცვა – 200 მილიონით, განათლება კი – 150 მილიონით...

მთავრობის სხდომაზე განხილული ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, იზრდება ჯანდაცვისა და განათლების სისტემის დაფინანსება.

„2017 წლის ბიუჯეტის პროექტში კვლავ გათვალისწინებულია იმ მიმართულებების დაფინანსების გაზრდა, რომელიც თავიდანვე პრიორიტეტი იყო. დაახლოებით 200 მილიონით არის გაზრდილი ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებების დაფინანსება.

150 მილიონ ლარამდე იზრდება განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება, რაც როგორც პროფესიული სასწავლებლების განვითარებას, ასევე პროფესიული ზრდის სქემის მიხედვით მასწავლებლების ანაზღაურების ზრდას და რეფორმით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს მოხმარდება“, — განაცხადა პრემიერმა.

8 მილიონი ტურისტი და დონორებისგან მოზიდული 8 მილიონი

მთავრობის გეგმის მიხედვით, 2020 წლამდე ქვეყანაში 8 მილიონამდე ტურისტი უნდა შემოვიდეს, — ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა განაცხადა.

კვირიკაშვილის თქმით, 2020 წლამდე ტურიზმით მიღებული შემოსავალი გაორმაგდება. საბიუჯეტო ხარჯების შემცირების პარალელურად პრემიერი დონორებისგან 8 მილიარდი დოლარის მოზიდვას ვარაუდობს.

მანქანები უციმციმოდ ივლიან

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართავს ავტომანქანების ციმციმებით მოძრაობის აღსაკვეთად, სპეციალური ზომები მიიღოს. განცხადება გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა.

„ამ დღეების განმავლობაში, არაერთხელ შემხვდა ციმციმებიანი შავი ჯიპების მოძრაობა არა მარტო ქალაქში, არამედ ავტობანებზეც. მინდა, გთხოვოთ, შესაბამისი ზომები იქნას მიღებული პატრულის მხრიდან. მე პირადად, პრემიერის მანქანაზე თითქმის არ ვიყენებ ამ სპეციალური სიგნალების მაჩვენებელს. მინდა, გთხოვოთ, ყველა ფუნქციონერმა გაითავისოს იგივე სტანდარტი და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით იქნას გამოყენებული ეს შუქურა, რომელიც, ჩემი აზრით, საკმაოდ გამაღიზიანებლად მოქმედებს ჩვენს მოსახლეობაზე. დიდი იმედი მაქვს, ამ განცხადების შემდეგ, თვითონ მიიღებენ შესაბამის ზომებს, მაგრამ თუ მაინც იქნება გამონაკლისი შემთხვევები, გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი ზომები, რათა აღკვეთოთ ასეთი ტიპის მოძრაობა ქუჩებში, ქალაქებში თუ ავტობანებზე“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა შინაგან საქმეთა მინისტრს.

სათამაშო ბიზნესზე მოსაკრებლის გაზრდა ლარის სტაბილურობაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს ახალი მთავრობა სათამაშო ბიზნესზე მოსაკრებლის გაზრდას გეგმავს.

პრემიერის თქმით, ეს გადაწყვეტილება გაზრდის ლარის გამყარების შესაძლებლობას.

„სათამაშო ბიზნესში მოსაკრებელი იზრდება. დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება უზრუნველყოფს ბიუჯეტში დამატებითი რესურსის მობილიზებას, რაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხცორციელებას — ახალი ავტომაგისტარელბის მშენებლობას, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას, ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების გაგრძელებას მოხმარდება.

დაგეგმილი ცვლილებები გაზიარებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ და მათი განხორციელების შემდეგ ჩვენ საერთაშორისო ფონდებიდან ქვეყანაში დამატებით რამდენიმე მილიარდი დოლარის მოზიდვის შესაძლებლობა გვიჩნდება. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციაში, თუმცა ლარის სტაბილურობის მიმართულებით სხვა ნაბიჯების გადადგმასაც ვგეგმავთ“, — განაცხადა პრემიერმა.

იმპორტულ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზრდება

როგორც პრემიერმა კვირიკაშვილმა აღნიშნა, გადასახადი რეგიონში არსებულ განაკვეთებზე რამდენჯერმე დაბალი იქნება. მისივე თქმით, აქციზის გადასახადის მატება შეეხება ნავთობპროდუქტებსაც. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ნავთობროდუქტების მოხმარება ავტომობილების რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობს, რაც უარყოფითად აისახება ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, მიღებული გადაწყვეტილებები კი ხელს შეუწყობს ავტოპარკის თანამედროვე სტანდარტებით განახლებას და ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების შემცირებას.

„ნავთობროდუქტების მოხმარება ავტომობილების რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობს, რაც უარყოფითად აისახება ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ართულებს დიდ ქალაქებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას, ამძიმებს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობას. მიღებული გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს ავტოპარკის თანამედროვე სტანდარტებით განახლებას და ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკების შემცირებას. ამ მხრივ საქართველოშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ჯერ განახევრდა, ახლა კი 60 პროცენტით მცირდება აქციზის გადასახადი ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტზე. ელექტრო მანქანების იმპორტი კი საერთოდ არ იბეგრება. ამასთან, საქართველოში წლიდან წლამდე შემცირების ნაცვლად იზრდება ავტომობილების რაოდენობა და შესაბამისად ნავთობპროდუქტების მოხმარება და იმპორტი“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ივაჭრეთ მხოლოდ ლარში!

„მომზადდება რეკლამის შესახებ კანონის პროექტი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი საქონლის, ან მომსახურების ფასის გამოქვეყნება აუცილებელი იქნება ლარით. ეს არ გულისხმობს სხვა ვალუტით ფასის გამოცხადების აკრძალვას“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. **„მაგალითად, სამშენებლო კომპანიამ ბინის ფასი უნდა გამოაცხადოს ლარით და სურვილის შემთვევაში მიუთითოს ფასი ნებისმიერი სხვა ვალუტით. შედეგად შემცირდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულება უცხოურ ვალუტაზე, დოლარზე და სავალუტო ცვლილებები ნაკლებ გავლენას იქონიებს ადამიანების ფინანსურ მდგომარეობაზე“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თამბაქოს ფასი კვლავ მოიმატებს

1 იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაიზრდება — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ თამბაქოს პროდუქციისადმი სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს და აქციზის ზრდა ამის გამოძახილი იქნება. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, იგეგმება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარების კონტროლის გააქტიურება.

„2017 წლის ბიუჯეტის პროექტი გულისხმობს რიგ ცვლილებებს შემოსავლების მობილიზების თვალსაზრისითაც, რაც შესაძლოა, საზოგადოების გარკვეული სეგმენტისთვის იყოს მტკივნეული, თუმცა უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყველა ცვლილება, რომლის განხორციელებასაც ვგეგმავთ ერთ საერთო მიზანს ემსახურება — ეს არის სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაც, პირველ რიგში, აისახება ადამიანების დასაქმებასა და კეთილდღეობაზე. ეს გზა გაიარა ყველა ქვეყანამ, რომლის ეკონომიკაც სწრაფად განვითარდა“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასური არ შეიცვლება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ **2017 წლის ბიუჯეტის პროექტში ჩადებულია ნავთობპროდუქტების იმპორტზე აქციზის ზრდა ეს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მგზავრობის გადასახადს არ გაზრდის.**

მოხდება მუნიციპალური ტრანსპორტის — ავტობუსების საფასურის სუბსიდირება, იქ, სადაც მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიები ფუნქციონირებს, ისე, რომ აქციზის ზრდამ ავტობუსების საფასურის ზრდა არ გამოიწვიოს,— განაცხადა პრემიერმა.

რკინიგზის, ნავთობისა და გაზის კორპორაციების 25 პროცენტი გასხვისდება!

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობა საქართველოს რკინიგზის, ნავთობისა და გაზის კორპორაციების 25%-ის გასხვისებას გეგმავს. „ჩვენ ვაკვირდებით ბირჟებზე სიტუაციას. რამდენიმე საინვესტიციო ბანკთან გვქონდა მოლაპარაკება რკინიგზის, ნავთობის და გაზის კორპორაციების 25%-ის ბირჟაზე განთავსებასთან დაკავშირებით. თუ იქნება შესაბამისი საბაზრო კონიუნქტურა, ჩვენ ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ. ჩვენ გვინდა, რომ საუკეთესო პერიოდს დაველოდოთ. შარშან ნამდვილად არ იყო ამ კუთხით საუკეთესო დრო. ეს არის ძალიან საფრთხილო და სწორად გასაკეთებელი საკითხი“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.



აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია SOCAR-ი კი მზად არის, განიხილოს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის აქციების შეძენის საკითხი, თუ გაყიდვის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდება, — ამის შესახებ გამოცემა Trend-ს განუცხადა წყარომ SOCAR Georgia-ში. **„ჯერ რამე კონკრეტულის თქმა შეუძლებელია. თუ აქციების გაყიდვა ოფიციალურად გამოცხადდება, ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს“,** — განაცხადა წყარომ.

სურვილიც და თხოვნაც



დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაჯერებით ვეუბნები: დიახ, ძალიან ბევრი გაქვთ გასაკეთებელი და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, სურვილი მაქვს, ცოტა მეც გირჩიოთ. უპირველეს ყოვლისა, რასაც გირჩევთ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ:

პირველი – საწყალ ხალხს უნდა მოუმატოთ პენსია და, სულ მცირე, 300 ლარი მაინც მისცეთ!

მეორე – დაუსაქმებელი ხალხი უნდა დაასაქმოთ!

მესამე – გაგახსენებთ, რომ თავის დროზე დიდმა მეცენატმა აკაკი ხოშტარიამ ქართველ მწერლებს საკუთრებაში გადასცა სახლი. აუცილებელია, დაუბრუნდეთ ქართველ მწერლებს სააკაშვილის მიერ წართმეული ეს სახლი!

მეოთხე – მერაბ ბერძენიშვილის „დავით აღმაშენებელი“ დააბრუნეთ თავის ადგილზე და აუცილებლად მოაშორეთ იმ ადგილს მიშას საყვარელი ველოსიპედი!

სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ცოტას გეუბნებით, იქნებ, შემისრულოთ!

ჯანსულ ჩარკვიანი,
საქართველოს სახალხო პოეტი

◎ ტოლერანტული ერი

მუსლიმებს 20 მეჩეთი საკუთრებაში გადაეცა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე ხუთი რელიგიური ორგანიზაციის მიმართვები განიხილეს. მათ შორის: სრულიად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, ებრაული თემის, სომხური ეკლესიისა და „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის“ საკითხები.



მართლმადიდებლურ ეკლესიას, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთვის სულ 34 საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა მიმართვა, საიდანაც 25 დაკმაყოფილდა, 2-ზე, დაუსაბუთებლობის გამო უარი ეთქვათ, ხოლო 7 საკითხი კი დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამო შემდგომი განხილვისთვის უკანვე დაუბრუნდათ. საკითხები ძირითადად შეეხებოდა ეკლესიების ასაშენებლად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართების საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემასა და მშენებარე ეკლესიებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას.

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსგან 24 საკითხი იყო გატანილი, საიდანაც 24-ვე მათგანი დაკმაყოფილდა. აქედან 20 საკითხი ეხებოდა ხულოს, ოზურგეთისა და ხელვაჩაურის რაიონში მეჩეთების გადაცემას. იგულისხმება სალოცავების სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ბალანსზე დარეგისტრირება . ერთი საკითხი შეეხებოდა მეჩეთის რესტავრაციაზე სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ დახმარებას და სამი საკითხი კი შეეხებოდა სამომავლოდ იურიდიული პროცედურების დაცვით ადიგენის რაიონში მდებარე მეჩეთების გადაცემას.

ამასთან, როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე **ზაზა ვაშაყმაძემ** ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, **დღეის მდგომარეობით სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე მუსლიმ თემს უკვე გადაცემული აქვს 150 მეჩეთი**.

რაც შეეხება სომხურ ეკლესიას. მათ ორი საკითხი ჰქონდათ დაყენებული. ორივე მათგანი ეკლესიების რესტავრაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსურ დახმარებას ეხებოდა, საერთო ჯამში 20 ათასი ლარის ოდენობით. სომხური ეკლესიის ორივე მოთხოვნაზე დადებითი რეკომენდაცია გაიცა.

რაც შეეხება ებრაულ თემს. მათ სულ ერთი საკითხი ჰქონდათ, კერძოდ საჩხერის რაიონში სინაგოგის გადაცემის თაობაზე, რომელზეც ასევე დადებითი პასუხი მიიღეს. ამასთან, როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძემ ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, საერთო ჯამში მთელი საქართველოს მასშტაბით 17 სინაგოგაა გადაცემული ებრაული თემისთვის.

რაც შეეხება „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა“ საკითხს, მათაც ერთი საკითხი ჰქონდათ გამოტანილი. კერძოდ, საკითხი შეეხებოდა ერთ-ერთ რაიონში მეშვიდე დღის ადვენტისტთა საკულტო ნაგებობაზე რელიგიური სიმბოლიკის დამაგრებას, რაზეც ასევე დადებიტი რეკომენდაცია გაიცა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2014 წელს შეიქმნა. მისი მიზანია რელიგიურ ორგანიზაციათა საკითხების შესწავლა და რეკომენდაციების გაცემა

თამარ ბატონიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აძლევს სტიპენდიატობის კანდიდატებად წარმოდგენილ პირთა სიას:

კანდიდატის გვარი, სახელი	სპეციალობა, ვაკანსია
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
	მათემატიკა, ფიზიკა - 1 ვაკანსია
1. ნიკოლოზ ინასარიძე 2. ალექსანდრე მესხი	
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
	გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია - 1 ვაკანსია
1. ნანა ბოლაშვილი 2. ლევან ტიელიძე	
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	
	გამოყენებითი მექანიკა – კატასტროფების რისკი - 1 ვაკანსია
1. გიორგი გაფრინდაშვილი 2. მიხეილ ელაშვილი 3. სერგო შარაშენიძე 4. გაიოზ ფარცხალაძე 5. მიხეილ ჩიხრაძე	
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
	ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები - 1 ვაკანსია
1. ელიზბარ ელიზბარაშვილი 2. ნიკოლოზ ნიორაძე 3. ალექსანდრე სხირტლაძე 4. გიორგი ტიტვინიძე 5. ლალი ჭანკვეტაძე	
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
	ბიოლოგია - 1 ვაკანსია
1. მიხეილ ასათიანი 2. მაია ბუხიანიძე 3. ალექსანდრე გავაშელიშვილი 4. ია ფანცულაია 5. ია ფიფია 6. გიორგი ჯაფოშვილი	
ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	
	ფიზიოლოგია - 1 ვაკანსია
1. ნატო დარჩია 2. დავით ნადარეიშვილი	
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
	აგროტექნოლოგია, აგროინჟინერია - 1 ვაკანსია
1. ირმა ინაშვილი 2. თამარ ქვრივიშვილი	
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
	ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია - 1 ვაკანსია
1. ემზარ კახიძე 2. ბუბა კუდავა 3. როინ მალაყმაძე 4. ზაზა შაშიკაძე 5. მაია ჭიჭინაძე	
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
	ენა, ლიტერატურა - 1 ვაკანსია
1. ქეთევან გიგაშვილი 2. ნინო ეჯიბაძე 3. სალომე ომიაძე 4. ირმა რატიანი 5. რამაზ ხალვაში	

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ირაკლი ჟორდანია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

„ნაცები“ პარლამენტში საქართველოს სირცხვილი და შეურაცხყოფაა!

მსოფლიოს ახალი რეალობა – აშშ-ის არჩევნები იმედს გვისახავს

მსოფლიოს გლობალური პროცესები, რომლის ნაწილიც ჩვენი პატარა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაცაა, ამერიკის შერთებული შტატების ახალი პრეზიტენტის არჩევით, იმედია, საკაცობრიო ღირებულებების აღიარების, დაფასების გზით წავა. მსოფლიოში შეწყდება დემოკრატიის საფარქვეშ ქვეყნების აოხრება, ადამიანთა წამება. მსოფლიო ცივილური განვითარების გზას დაადგება, რამეთუ, იგი ჩვენი საერთო სახლია, საერთო სატკივარი და საზრუნავია.საქმე არამარტო სოციალურ მდგომარეობას და ეკონომიკას ეხება, არამედ სულიერ, ზნეობრივ, მორალურ მდგომარეობასაც, რაც თავისთავად არის ქვეყნების, ადამიანთა ურთიერთობის საფუძველი, ნამდვილი დემოკრატიის – ხალხის ძალაუფლების ხალხისთვის მოხმარების და არა პირადი მოხმარების საფუძველი.

დონალდ ტრამპის მსოფლმხედველობა, ძირითადი მიმართულებები პოლიტიკური პროგრესის მანიშნებელია, ვითომ ლიბერალური დემოკრატიული სამყარო, არასამთავრობები და ადამიანის უფლებათა ვითომ დამცველები ძველებურად ვეღარ მიიღებენ გრანტებს თავიანთი საეჭვო საქმიანობისთვის, რაც არასოდეს წარსდგომია ქვეყანას სასარგებლოდ.

ახალი პერსპექტივა იკვეთება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაშიც. გამოჩნდა ორი პრეზიდენტის თანხვედრის წერტილები არაერთი პარამეტრით.

საქართველოც უნდა დალაგდეს პოლიტიკური თვალსაზრისით, „ურაპატრიოტიზმი“ უნდა ჩაცხრეს. პოლიტიკური სტრიპტიზის სეანსი დამთავრდა, იცის ხალხმა ვინ ვინ არის, სინამდვილეში რა გაუკეთებია, მომავალში რა სურს, რომ მათნაირებს საქართველო და ქართველი ერი ფეხებზე ჰკიდიათ, რამეთუ წვეთი სისხლი არ არის მათში ქართული ღვთის რწმენით გაჯერებული და ამაღლებული.

ამიტომაც იყო სააკაშვილი და მისი ბანდა ვითომ დემოკრატიის ნაყოფი ამერიკელებისთვის, თუმცა, ახალ ამერიკას და მის ლიდერს ის აღარ დასჭირდება, ამის თქმის საბაბს გვაძლევს ახლახან გაკეთებული განცხადებები, რომ ამერიკას უკრაინაში არაფერი ესაქმება,მაშინ სააკაშვილს რაღა ესაქმება? ცუდი სიგნალია, უკრაინამ დროზე უნდა გადმოსცეს საქართველოს მისი დამაქცევარი სააკაშვილი, ვიდრე იქაურობასაც დააქცევდეს, იგი ხალხის გაჭირვებით მანიპულირების, ტყუილების, მოჩვენებითობის ოსტატია, მაგრამ სააკაშვილისთვის ვეღარ იქნება რუსეთი ძველებურად მტრის ხატი, თუთაშხიასი არ იყოს, „ვინაც ჩაცვა, იმას მოუნდომა გახდა“, მაგრამ მიუხვდა პოროშენკო და ამ მართლაც უმადურ და ყველაფრის მკადრებელ კაცს სათანადოდ გასცეს პასუხი, მაგრამ გულსატკენი ისაა, რომ მას მომხრეები კიდევ შემორჩა,უბრალო ადამიანებს კიდევ ჰო, ეპატიებათ, მაგრამ სააკაშვილის მომხრე თუ მხარდამჭერ პოლიტიკოსს, ექსპერტს და ა.შ. პოლიტიკოსი როგორ უნდა უწოდო, როცა მკვლელი, ქვეყნიის მძარცველი, გამყიდველი, ცრუ პატრიოტი, ვითომ დემოკრატი, კორუფციონერი, მრავალგზის დამნაშავე კაცის გვერდით რომ დგანან და ამართლებენ.

რომელ ნაციონალურ, ეროვნულ იდეებზეა ლაპარაკი,რომელი ნაციონალები ესენი მყვანან, მართლაც ნაციის, ერის, ქართველობის, რწმენის და კაცობის მტრები, ისინი ყველა უნდა გასამართლდეს ღალატისათვის (ასეთი ღალატი არ იცის ისტორიამ), ფიზიკური, სულიერი, ზნეობრივი და მორალური თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ბევრი შემორჩენილა „ნაციონალი“, რომლებსაც სააკაშვილმა ერის „უფრო განათლებული“ ნაწილი უწოდა და სხვა დანარჩენს შეურაცხყოფა მიაყენა. სხვანი თურმე მარტივი კატეგორიებით მოაზროვნეები ვართ, რადგან მათ ბინძურ ქმედებებს ვუგანეთ. ჩვენი უბედურება ისაა, რომ დამნაშავე ნეოფაშისტები ისევ პარლამენტში მოხვდნენ, ეს ხომ დემოკრატიის დაცინვაა, როგორ გინდა უსმინო დამნაშავე, ბოროტმოქმედ ბოკერიას და სხვათა დარიგებებს თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, სამშობლოს, ხალხის სიყვარულზე, კაცობაზე, მეგობრობაზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, პარტიის დიად გეგმებზე (ასე კომპარტია არ აღმერთებდა მის თავს),სანამ იქნება პარტიები ვიგინდარების თავშესაფარი, ერთმანეთს ებრძვიან ვითომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის, იბრძვიან პირადი გამორჩენისთვის, არადა ყველა პარტიის მიზანი ერთი უნდა იყოს – სამშობლოსა და ხალხისთვის ზრუნვა, რამეთუ ქვეყანაც და ხალხიც ერთია და ხალხის ძალა და უფლებაც ხალხსვე უნდა ემსახურებოდეს. როცა ხალხს ძალაუფლებას არ-თმევ, ეს ყველაზე დიდი ოკუპაციაა,ახალი შენიღბული მეთოდით, თანაც დიქტატორობით, რომელ თავისუფლებაზე ლაპარაკობს სააკაშვილი, რომელიც ვითომ უკრაინის „გადასარჩენად“ იბრძვის. „რუსთავი-2“ არ ისვენებს და იქაც ჩააკითხა – საქართველო არ დაგავიწყდეს, ისიც გადასარჩენიაო, არადა მალე ეს პარტიული ტელევიზია იქნება გადასარჩენი, თუმცა რაღა პარტიული, დანაშაულებრივი, ამათ ცოდვებს რა ჩამორეცხს, ან რა წყალი განბანს ჯოჯოხეთის მოციქულებს.

არჩევნები გაყალბდაო, რადგან ვერ გაიმარჯვეს „ნაცებმა“.თურმე არც დემოკრატია ყოფილა საქართველოში, დემოკრატიას რა ვუთხარი, თორემ ისინი იმ ციხეში უნდა ისხდნენ, სადაც ცოცხებით აუპატიურებდნენ უდანაშაულო ადამიანებს. ესენი კიდევ გააგრძელებენ საბოტაჟურ საქმიანობას, მავნებლობას, ყველაფერს გააკეთებენ ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად და ამფსონებსაც იპოვიან, მაგრამ ხალხის მოთმინების ფიალაც აივსო, „ოცნებას“ უნდა ახსოვდეს, რომ ძველებური სიამტკბილობა „ნაცებთან“, კოჰაბიტაციად რომ მონათლეს, არ გამოვა, „ოცნება“ „ნაცების“ გადამრჩენის როლში აღმოჩნდა, იმასაც ხომ ამბობენ მტრის ხატად სჭირდებოდათო, მაგრამ სანამდის? ახლა რეალური შედეგების დროა, მიშა, დათა, ბაჩო, ეგის-მეგისის დრო უნდა წავიდეს. როგორ ითმენდა ქართველობა ამ „ცივილურ მხეცებს“?

ხალხი შველას ითხოვს იმათი 10-წლიანი უბედურების გამო, ხალხი ახლაც გარბის ქვეყნიდან. ივანიშვილის არაფორმალური მმართველობაც უნდა დამთავრდეს, სახელმწიფო უნდა შეიქმნას თავისი ინსტიტუტებით. მაგრამ მისი მხარდაჭერა აუცილებელია, ოღონდ ხალხს ეშველოს და გინდ რუსეთის და გინდაც ამერიკის მონა ეძახონ.

„ოცნებას“ უნდა ახსოვდეს, რომ პასუხი მოეთხოვება ოპოზიციური პარტიის გამოც (ნაცები მყავს მხედველობაში), რომელიც პარლამენტშია და რომელსაც არ აგებინეს პასუხი დანაშაულისთვის. ახლა გადამწყვეტი ეტაპია საქართველოს ცხოვრებაში. გადარჩენის სხვა შანსი მას არა აქვს. არადა, რაღაც იმედი, თუნდაც გარე ფაქტორების გამოც გაჩნდა. სააკაშვილს და მის ბანდას არა აქვს პერსპექტივა, არავის სჭირდება იგი, ვერც რუსეთი გამოადგება მტრის ხატად, სხვა რეალობა ისახება გლობალურ პოლიტიკაში, არც იქაა უაზრო კინკლაობის დრო, რამეთუ მსოფლიოც ერთია თავის სატკივრითა და საწუხარით, ქვეყანას ახალი იდეები, ახალი საქმეები თუ გამოაცოცხლებს.

ამომრჩევლის მესიჯი გასაგებია, პარტიული დაპირისპირების პოლიგონი არ უნდა იყოს ქვეყანა, რომელიც ამათ არ ახსოვთ, ამიტომაც ერთ პროცენტსაც ვერ მიაღწიეს არჩევნებში. პარტიები მიატოვეს ლიდერებმა, იქმნება პოლიტიკური გაერთიანებები, ცენტრები, არადა ქვეყანა ლამის ხელში ჩაგვაკვდეს, ქვეყანას პატრონი სჭირდება, მზრუნველი, პატრიოტი, ქართული გულით, სულით და არა ევროპულ ლიბერალიზმს გამოკიდებული, ვითომ დემოკრატიის ნიშნით. ევროპისგან კარგი ვისწავლოთ და ქვეყანა ევროპულად, სულიერად, კულტურულად ავაყვავოთ.

იწყება ახალი ერა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, უნდა აღმოიფხვრას სიღარიბე, უზნეობა, ქაოსი, უნდა აღვიდგინოთ ღირსება, თავმოყვარეობა. როგორც ხედავთ, მსოფლიოშიც სხვა ახალი პროგრესული რეალობა იქმნება და ნეოფაშიზმი და მისთანანი წყალს გაყვებიან და ჩვენი „ნაცებიც“ მათ მიყვებიან, ნუთუ ამას ვერ ხვდებიან ჩვენი პოლიტიკური „კორიფეები“?

ზურაბ აბრალავა,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ. (ფოთი).

◎ „ნიჭიერი ჟიურის“ ანომალიები

პირველი ლედის სექსფანტაზიები, ანუ მელას რაც ელანდებოდაო...

ძველი რომაული სენტენციაა – რაც ეპატიება იუპიტერს, ის არ ეპატიება ხარსო...

რომაელები გვერდით ჩავაჩოჩოთ, რაც უნდა დიდი ისტორიის მქონენიც არ უნდა იყვნენ და ჩვენს გაჭირვებას მივხედოთ.

ჩვენს თავზე ვიკითხოთ?.. ეს რა ჭირი გვჭირს ქართველებს, ასე ვინ დაგვწყევლა?!

პრეზიდენტს, ქვეყნის პირველ პირს, ხალხი ირჩევს. კარგია, ცუდია, შორსმჭვრეტელია, ნიჭიერია, ავაზაკია თუ ვინც არის, ისევ და ისევ ხალხის, რიგითი ამომრჩევლის გონიერებასა და ალღოზეა დამოკიდებული (არა აქვს მნიშვნელობა ოკეანისგაღმიდან იღებ დირექტივებს, ცისარტყელას ფერებივით მიჯრით მიწყობილი რევოლუციების წყალობით ხდება ეს, თუ ერთი ადამიანის ნება-სურვილით – ფაქტი ერთია, საარჩევნო ყუთთან შენ მიდიხარ, ქვეყნის მოქალაქე და აძლევ ხმას ამა თუ იმ პირს).

ამაში შევთანხმდით, რომ პრეზიდენტს ვირჩევთ.

იმას არავინ გვეკითხება, ვის ირჩევს პრეზიდენტი თავისი ცხოვრების თანამგზავრად. ეს მისი პირადი საქმეა, მისი გემოვნებისა და მისი სულიერი განწყობის. ასე რომ, მისი რჩეულის, თანამეცხედრის, ანუ ჩვენთვის ქვეყნის „პირველი ლედის“ არჩევაში ჩვენ არავინ გვეკითხება. ისე, ძალიან კარგი იქნება ვიცოდეთ, თუ ვინ არის პირველი ლედი და იმის მიხედვით ავირჩიოთ პრეზიდენტიც! ქართველები იტყვიან – ამ კაცს ოჯახში ვერ აუწყვია საქმე და ქვეყანას დაალაგებსო? მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ეს მისი გემოვნების საქმეა.

ერთიცაა, წესია, თუ მთლად ვერა გყავს „დაწყობილი მეუღლე“, საქვეყნოდ მაინც ნუ „დააჭენავებ“, ან ზრდილობა ასწავლე, ან ჭკუა მოჰკითხე, ან ენაზე კბილის დაჭერა მაინც შეეძლოს, მე შენ გეტყვი და, კბილების პრობლემა აწუხებდეს?!

მოკლედ, გუშღამინდელი „რუსთავი-2“-ის პროექტს **„ნიჭიერზე“** მოგახსენებთ, სადაც ჟიურის წევრებს შორის ჩვენი ქვეყნის „პირველი ლედიცაა“ გამოჭიმული. ის, რაც უხდებათ შოუმენებს (ეს მათი მოვალეობაცაა და პროფესიაც), ის არ უხდება პირველ ლედის (იუპიტერისა და ხარისა არ იყოს), არ უხდება კი არა, არ ეგების, ამაზრზენია... ძველი კოლხები, მეგრელები იტყოდნენ და ახლაც ამბობენ – **„ვაშინერსო“,** მტრისას, ამის ჩადენა მკრეხელობაა ხალხის და ღმერთის წინაშეო, ამის გაფიქრებაც არ შეიძლებაო, ამის ჩამდენს ან მთქმელს ღმერთი დასჯისო! – ხედავთ რამდენი სიბრძნე, ტაბუ-აკრძალვა, წესი და რიგია ჩადებული ამ ერთ სიტყვაში, რომლის მნიშვნელობაც, წესითა და კანონით, არამარტო „პირველმა ლედიმ“, არამედ „რუსთავი-2“-ის მკვეხარა გენდირექტორმა გვარამიამაც უნდა იცოდეს...

ეჰ, კარგია – უნდა იცოდეს, მაგრამ?..

...გადაცემას, გულახდილად გეტყვით, არ ვუყურებ, გვერდით ოთახიდან მესმის და შიგადაშიგ გადმოვდივარ ხოლმე თვალის შესავლებად. მონაწილე გოგონას გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს და არც მსურს ტექნიკის წყალობით გადავახვიო კადრები, რომ გვარი გავიგო, რადგან ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მოჰყვა მისი გამოსვლის შეფასებას ჟიურის ერთ-ერთი წევრის, ანუ „პირველი ლედის“ მხრიდან.

როდესაც გოგონას გამოსვლის შემდეგ დარბაზში მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა, მეც გამოვედი ტელევიზორთან, გავიგებ ვინ მოაწონა თავი ასე მაყურებელს-მეთქი და ერთი პატარა

„ოცნების“ ხელისუფლების თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი!

IDFI: შსს-ს თანამდებობის პირებზე ორ თვეში პრემიის სახით 7 მილიონამდე ლარი გაიცა!

(პირველი გვერდიდან) — თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაციის გაცემის ვალდებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უშედეგოდ გაასაჩივრა სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში. ამდენად, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ, 2016 წლის 13 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი, რის შემდეგაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით IDFI-მ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აღსასრულებელი მოთხოვნის შესახებ შეტყობინება 2016 წლის 25 ივლისს გაუგზავნა. შეტყობინების გაგზავნიდან თითქმის ოთხი თვის გასვლის შემდეგაც უწყება არ ასრულებდა საკუთარ ვალდებულებას და არ გასცემდა მოთხოვნილ ინფორმაციას, რის შემდეგაც IDFI-მ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

IDFI-ის ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს (იანვარ-ოქტომბერი) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე პრემიის სახით სულ 6 969 892 ლარია გაცემული, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა 880 736 გაიცა ოქტომბერში.

„მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, 2013 წლის ნოემბრამდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამდებობის პირებზე სულ გაცემულია 2 325 789 ლარი. შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს აღნიშნულ პერიოდში პრემია მიღებული აქვს მხოლოდ თებერვალში — 4 335 ლარი. მინისტრისგან განსხვავებით, სხვა თანამდებობის პირების შემთხვევაში უმეტესწილად პრემია გაიცემოდა ყოველთვიურად და მნიშვნელოვნად აღემატებოდა მათ ყოველთვიურ თანამდებობრივ სარგოს.

მაგალითად, მინისტრის მოადგილეებზე 2013 წელს 10 თვეში გაცემულია დაახლოებით ნახევარი მილიონის ოდენობის პრემია, საიდანაც ალექსანდრე ტაბატაძემ მიიღო 113 500 ლარი, ალექსი ბატიაშვილმა — 107 250 ლარი, ლევან იზორიამ — 92 750 ლარი, ვახტანგ გომელაურმა 8 თვეში 74 000 ლარი, დავით ხუციშვილმა 69 750 ლარი, ხოლო გელა ხვედელიძემ 4 თვეში — 44 000 ლარი. ერთჯერადად მინისტრის მოადგილეებზე პრემიის სახით ყველაზე დიდი თანხა გაცემულია ალექსანდრე ტაბატაძეზე — ივლისის პრემია 22 000 ლარი. 2013 წლის მაისში ალექსი ბატიაშვილს პრემიის სახით მიღებული აქვს 15 750 ლარი, ხოლო ლევან იზორიას — 13 250 ლარი.

2013 წელს (10 თვე) ცენტრალური აპარატის 8 დეპარტამენტის უფროსზე გაცემულია 377 250 ლარის ოდენობის პრემია, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა მიღებული აქვს ზვიად ჯანყარაშვილს 70 000 ლარი. ერთჯერადად ცენტრალური აპარატის დეპარტამენტის უფროსებს შორის, ყველაზე დიდი თანხა მიღებული აქვს ავთანდილ თაბუნიძეს — აგვისტოს პრემია 18 750 ლარი და ირაკლი ჩიმაკაძეს — სექტემბრის პრემია 11 250 ლარი.

2013 წელს (10 თვე) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამდებობის პირებზე პრემიის სახით სულ გაცემულია 492 675 ლარი, საიდანაც დეპარტამენტის უფროსს და მის მოადგილეებს მიღებული აქვთ ერთად ჯამში 144 675 ლარი, მაგალითად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა დავით ცინარიძემ 10 თვის განმავლობაში პრემიის სახით მიიღო 55 000 ლარი.

სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის თანამდებობის პირების შემთხვევაში 2013 წელს (10 თვე) პრემიის სახით სულ გაცემულია 1174 894 ლარი, საიდანაც 5 დეპარტამენტის უფროსს მიღებული აქვთ 200 500 ლარი. მათ შორის, ყველაზე დიდი თანხა კონსტანტინე მახარაშვილს და ვეფხია ჩიხლაძეს, თითოეულს 49 375 ლარი.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამდებობის პირებზე 2013 წელს (10 თვე) სულ გაიცა 389 170 ლარი პრემია, საიდანაც დირექტორს და მის ორ მოადგილეს მიღებული აქვთ 119 800 ლარი. დეპარტამენტის მაშინდელმა დირექტორმა ზურაბ გამეზარდაშვილმა ივლისის თვეში მიიღო 21 250 ლარის ოდენობის პრემია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამდებობის პირების შემთხვევაში 2013 წლის ნოემბრამდე ყველაზე დიდი თანხა პრემიის სახით გაიცა თბილისის პოლიციის დეპარტამენტში — 714 375 ლარი. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს ალექსანდრე ჭიკაიძეს 2013 წლის მარტიდან ოქტომბრის ჩათვლით, ანუ 8 თვეში, პრემიის სახით მიღებული აქვს 66 250 ლარის ოდენობის პრემია, რაც საშუალოდ თვეში 8280 ლარს შეადგენს.

სამწუხაროა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაციის მიღება მხოლოდ პროკურატურისადმი მიმართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, მიიღოს მონაცემები საბიუჯეტო სახსრების განკარგვის შესახებ.

საგანგაშოა, რომ IDFI-მ 2014 წლის ივნისში მოთხოვნილი მონაცემების მიღება მხოლოდ 2016 წლის მიწურულს შეძლო. IDFI გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ინფორმაციის არმოწოდების და პროცესის მიზანმიმართული გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი გაცემული პრემიების უპრეცედენტოდ მაღალი ოდენობა უნდა ყოფილიყო, რაც დადასტურდა მიღებული მონაცემებით.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებთან შედარების შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები. კერძოდ, რიგ შემთხვევებში თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციებში მითითებულია არასრული/არასწორი მონაცემები. მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელ მოადგილეს ალექსანდრე ტაბატაძეს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ 2013 წელს სამუშაოს შესრულებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 89 828 ლარი. ამავე დროს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციით ირკვევა, მას 10 თვის განმავლობაში მხოლოდ პრემიის სახით მიღებული აქვს 113 500 ლარი.

ასევე, მაშინდელ მინისტრის მოადგილეს ვახტანგ გომელაურს დეკლარაციაში 2013 წელს სამუშაოს შესრულებით მიღებულ შემოსავალში მითითებული აქვს 84 112 ლარი, მაშინ როდესაც მხოლოდ პრემიის სახით 2013 წლის მარტი-ნოემბრის პერიოდში მიღებული აქვს 74 000 ლარი. შესაბამისად თუ გავითვალისწინებთ პრემიასთან ერთად მის მიერ მიღებულ ყოველთვიურ სარგოს, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ დეკლარირებული თანხა არ ასახავს რეალობას.

გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის დირექტორის ზვიად ჯანყარაშვილის თანამდებობაზე მიღებული დეკლარირებული შემოსავალი შეადგენს 78 103 ლარს, მაშინ როდესაც 10 თვეში მხოლოდ პრემიის სახით მიღებული აქვს 70 000 ლარი.

ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს მაშინდელი უფროსის ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ დეკლარირებული აღნიშნულ თანამდებობაზე მიღებული შემოსავალი შეადგენს 45 862 ლარს, მაშინ როდესაც სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით მას მხოლოდ პრემიის სახით აღნიშნულ თანამდებობაზე მიღებული აქვს 66 250 ლარი.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი იქნა ქონებრივი დეკლარაციების ვებგვერდის ზედაპირული გადამოწმებით აღმოჩენილი შემთხვევები შსს-ის თანამდებობის პირთა მიერ 2013 წლის მიღებული შემოსავლების შესახებ. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თითოეული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დეტალური გადამოწმებით, შევძლებთ სავარაუდოდ მეტი შეუსაბამობის აღმოჩენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნული უწყების თანამდებობის პირების მიერ დეკლარაციებში 2013 წელს მიღებული შემოსავლების მითითებისას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის თანახმად, დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. აღნიშნული დანაშაულის ჩადენა: „ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“, — ნათქვამია IDFI-ის ინფორმაციაში.

ორგანიზაცია მთავარ პროკურატურას მოუწოდებს, საქმის დეტალები შეისწავლოს და დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს.

რედაქციისგან:

ამ ციფრებს (ასტრონომიულ საპრემიო თანხებს) კომენტარი აღარ სჭირდება. ეს არის ქვეყნის საერთო სირცხვილი, ღორმუცელობა და უზნეობა! საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, ახალმა პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა მოაწესრიგოს საჯარო სამსახურში დანერგილი მახინჯი საპრემიო სისტემა და თითოეულ მაღალჩინოსანს მკაცრად განუსაზღვროს „წარმატებული საქმიანობისთვის“ განკუთვნილი საპრემიო თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღარიბი ქვეყნის აბუჩად აგდებული, გაღატაკებული ხალხი კინწისკვრით გაყრის ასე იმედით და რწმენით მეორედ არჩეულ „ოცნების“ ხელისუფლებას.

ეს რომ არ მოხდეს, ოპერატიულად უნდა გამოინახოს ამ ბოლო წლების განმავლობაში ფარულად, აშკარად უწესოდ მითვისებული საბიუჯეტო სახსრების ხალხისთვის დაბრუნების კანონიერი გზები!

მილიონობით მითვისებულ თანხებზეა ლაპარაკი, ხალხო!!!

ცქრიალა გოგონა შემრჩა ხელში, რომელიც გაფითრებული ელოდა განაჩენს. პირველი სიტყვა პირველ ლედის ხვდა წილად და... აი შეფასებაც — **„მაგდა, ძაან სექსი ხარ?“**

ქართველები ხომ ვართ ნიჭიერები და მერე როგორი, მაგრამ „პირველი ლედი“ მართლაც ტობე ვინე გამოდგა — შვილზე უმცროს გოგონას მილიონობით მაყურებლის (როგორც რუსთავიორელები ამბობენ) წინაშე მოწკურული (იმერლებმა იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა), ვნებიანი თვალებითა და გამოხედვით ნუსხავს და ზუსტად ამ სიტყვებით აფასებს — **„მაგდა, ძაან სექსი ხარ?“**

მართლაცდა ვაშინერს, მაყურებელო, ეს რა საზიზღრობაა!!!

პრეზიდენტი ხომ გყავს მრავალფეროვანი სექსის გიგანტი, არც „პირველი ლედი“ ყოფილა მასზე ნაკლები. ერთი თუ ფილოსოფოსობს, მეორე ან ანგლობს, ან კიდევ მართლაც მელიასი არ იყოს, რაც ელანდება ის ესიზმრება და სახალხოდ ამბობს კიდეც წარმოუდგენელ სისულელეებს...

ვაი შენს... შენს კი არა ჩვენს პატრონს... ეს რა ჭირი გვჭირს ქართველებს, ერთს, „პირველი ლედის“ შინაგანი ორგანოები ელანდებოდა-ესიზმრებოდა (სანდრა მყავს მხედველობაში), მეორეს სულ სექსი აკერია პირზე!..

თავს ზემოთ ძალა არ არის — ჯერ ივანიშვილმა ურჩია — სირცხვილია, ჩემო გიორგი, პირველი პირი ხომ გაგხადე, ახლა ქართველებს „პირველი ლედიც“ სჭირდებათ და ნუ დაგვტოვებ ამ „სიამოვნების“ გარეშეო და ოფიციალურად დააქორწინა... მერე პატრიარქმაც აიძულა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით), ჯვარიც დააწერინა ქრისტიანული წესით, იქნებ ახლა მაინც დაოკდნენო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე...

ისევ ერთი „მიგნებით“ ვიმშვიდებ თავს — პრეზიდენტს ხალხი ირჩევს, „პირველ ლედის“ კი — პრეზიდენტი!

მამუკა ვაშაკიძე.

P. S. იმავე გადაცემაში ქუთაისელ გოგონათა ანსამბლის გამოსვლა ჟიურიმ საყვედურით შეაფასა — ძალიან ენერგიულები, პლასტიკურები კი ხართ, მაგრამ თქვენს ასაკთან შედარებით ნამეტნავად გამომწვევად და თამამად ცეკვავთო.

დიახ, ამაზრზენია ამგვარი როკვა არასრულწლოვანების შესრულებით და მიუღებელიც... მაგრამ „რუსთავი-2“-ის ნაცქაქუნა პირველ პირს ქვეყნის პირველი ლედისთვისაც რომ მიეცა შენიშვნა, უფრო უპრიანი იქნებოდა, მაგრამ პრეზიდენტის „სექსფანტაზიების“ დამაოკებელს, ამას როგორღა შეჰბედავდა.

მ. ვ.

გაბრაზებული კაცი სათქმელს ვერ თოკავს!

ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში ვწერდი, რომ ახალი პარლამენტის პირველსავე სხდომებზე გამოჩნდება-მეთქი, რისთვის გამოიყენებს „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას და აჰა, გამოჩნდა კიდეც: „ახალი“ პარლამენტი „ძველ“ მინისტრთა კაბინეტს დითირამბებს უმღერის და პირიქით, თანაც ერთი და იმავე ტექსტით – რა კარგი იყო გასული 4 წელი და უფრო კარგი იქნება მომდევნო 4 წელიწადი!..

ორივენი ერთად კი ნაციონალურ მოძრაობას „უტევენ“ პრინციპით – „თქვენ რომ 9 წელიწადი“... რაც სიმართლე გითხრათ უკვე ყელში ამოვიდა...

რატომ წერილის დასაწყისშივე ამდენი წინწკალი?

იმიტომ, რომ პარლამენტს, რომლის შემადგენლობასაც აქეთ თამარ ჩუგოშვილის მსგავსი რამდენიმე ლიბერასტი დაამატეს და იქეთ კი ენძელა მაჭავარიანი (ამ ქალბატონზე ქვემოთ), რომელიც რბილი „ლ“-თი უმტკიცებს ერთგულებას ბიძინა ივანიშვილს, მხოლოდ ამიტომ ახალი უწოდო უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულად მეჩვენება!

რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, აქ უბრალოდ „ქოცებმა“ ნაცების დროინდელი და მათივე მოგონილი სამთავრობო კარუსელი დაატრიალეს, ანუ, რამდენიმე მინისტრი ერთი სავარძლიდან მეორეში გადასვეს და პარლამენტისგან განსხვავებით, ფორმალურადაც ვერ უწოდებ მინისტრთა კაბინეტს ახალს!

ერთი სიტყვით, „ქოცები“ ნაცების ნიჭიერი მოწაფეები აღმოჩნდნენ – მშვენივრად შეირგმოირგეს ნაცების მიერ მიღებული მახინჯი კანონები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბერს ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“ დახვდა და ევრიკაო, არქიმედესავით შეჰყვირეს – ეს, რა მაგარი რამე ყოფილაო (განსაკუთრებით საარჩევნო კანონი) და არათუ გასული არჩევნებისთვის შეცვალეს რაიმე, არამედ მგონი, არც დაპირებულ 2020 წლისთვის აპირებენ ამ მიმართებით რაიმეს შეცვლას!

მკითხველს შევახსენებ პრემიერ კვირიკაშვილის მიერ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ნათქვამს, რაც ერთი ერთში ჯდება ნაცების რიტორიკაში: თურმე წარსულს თავი უნდა დავანებოთ, შურისძიებაზე უარი უნდა ვთქვათ და მხოლოდ წინ ვიყუროთ!

ამიტომაც არის, რომ პარლამენტში ისე, ყასიდადაც კი აღარავინ ახსენებს სამართლიანობის აღდგენას – ერთადერთი გედევან ფოფხაძემ შეახსენა ეს თემა პრემიერს და პასუხიც შესაფერისი მიიღო: ეს, პროკურატურის საქმეა, რომელშიც ჩვენ ვერ ჩავერევით!

ქართველი საზოგადოება 4 წელიწადია, სამართლის ძიებას ითხოვს!

რას ჰქვია, ვერ ჩავერევით?

მაშ ვის ჭირდება „ქოცების“ მიერ ნაცებისთვის წარამარა ყბადაღებული 9 წლის შეხსენება, ან რის მაქნისია გოგა ხაინდრავას მიერ გადაღებული „ჰეროკრატია“ თუ ამ ფილმის გმირები დასჯის ნაცვლად პარლამენტში სხედან და მორალს გვიკითხავენ?

ქოცებ-ნაცების დაპირისპირება პარლამენტში იმ აბსურდის თეატრის გაგრძელებაა, რომელსაც კოჰაბიტაცია ერქვა და ახლა ეს აფერა მგონი თვისობრივად ახალ ფორმაში გადაიზარდა.

ერთადერთი, ვინც ნაცებ-ქოცების სიამტკბილობას არღვევს, ეს პატრიოტთა ალიანსის 6 დეპუტატია, რომელთაგან ერთის, ემზარ კვიციანის კანდიდატურა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მოადგილის პოსტზე, „ქართულმა ოცნებამ“ ნაცების კანდიდატის სასარგებლოდ ჩააგდო?!

აი, კიდევ ერთი ღია ლუსტრაცია იმისა, რომ ნაცებ-ქოცების დაპირისპირება სინამდვილეში მირაჟი, ქიმერაა...

სად პოულობს, საიდან მოიყვანა „ქოცების“ ძველი თუ ახალი სახეები ბიძინა ივანიშვილმა?

ევროინტეგრაციის მინისტრი?

აი, კლასიკური სახე დღევანდელი ხელისუფლებისა – ჯერ კიდევ გუშინ საქვეყნოდ გაჭყვიროდა ვიქტორ დოლიძე ირაკლი ალასანიასთან დუეტში, კაბელების საქმე იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკური პაციენტიმრები ჰყავს და დღეს ეს კაცი ევროინტეგრაციის მინისტრად დანიშნეს?!

ასეა, როგორც ბიძინა ივანიშვილი უწოდებს მურუსიძეს, ადეიშვილს და ა.შ. სხვა მრავალ ჯალათს, სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემის მსხვერპლებს (თორემ ისე კაი ბიჭები არიანო), ასევე შეგვიძლია ვუწოდოთ ვიქტორ დოლიძესაც და სხვა მინისტრ-დეპუტატებსაც სისტემის, ოღონდ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი სისტემის, მსხვერპლნი!

სისტემის, რომელსაც ივანიშვილის ბაგაზე დაბმა ჰქვია! ბაგაზე, რომლიდანაც საკვების მიღება მწვავე ფორმის ამნეზიას, დაუნობას იწვევს და გავიწყდება, რომ საკუთარი სტომაქის გარდა არსებობს კიდევ ერთი „პატარა და უმნიშვნელო“ რამ, რასაც მოყვასი, სამშობლო ჰქვია – მოყვასი, რომელსაც შენგან განსხვავებით შია, სცივა და სწყურია და სამშობლო, რომელიც გაგლეჯილ-დაფლეთილია!

სიტყვამ მოიტანა და ვიქტორ დოლიძე ფრთიანი ანგელოზიც რომ იყოს, რომელი ევროინტეგრაციის მინისტრია, ევროკავშირის, რომელიც არსებობის (ყოველ შემთხვევაში ამ სახით) უკანასკნელ დღეებს ითვლის?

ბრიტანულ ბრიგსიტსაც რომ თავი დავანებოთ, რასაც ევროკავშირის დასასრულის დაწყისი უწოდეს სოლიდურმა ანალიტიკოს-პოლიტოლოგებმა, აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევამ თავდაყირა დააყენა თანამედროვე გეოპოლიტიკა – მსოფლიო ჩვენს თვალწინ ელვისებური ტემპებით იცვლება და ამიტომაც ყველა, ვისაც ჭკუა აქვს, ამ ცვლილებათა შესაფერისად მოქმედებს!

ფილიპინების პრეზიდენტის ანტიამერიკული, გნებავთ ზოგადად ანტიდასავლური დემარში! ფილიპინებისა, რომელიც აშშ-ის ყურმოჭრილი მონა იყო რეგიონში. იგი ახლა მკვეთრად შემობრუნდა რუსეთ-ჩინეთისკენ. იმავე საფრანგეთში მემარჯვენე ცენტრისტების პარტიის შიდა პრაიმერისში აშკარად პრორუსული კანდიდატის გამარჯვებაა მოსალოდნელი. მოლდოვას, ბულგარეთ-ლიტვის შესახებ წინა სტატიაში ვწერდი და აღარ გავიმეორებ...

ეს სია, სავარაუდოდ, გაიზრდება. საქართველოს ხელისუფლება კი, ვითომც არაფერი მომხდარა, ისევ ნატოსა და ევროკავშირის სიმღერას მღერის!

არადა საგარეო პოლიტიკა სასწრაფოდ არის შემოსაბრუნებელი 180 გრადუსით – რუსეთთან უნდა დავამყაროთ სტრატეგიული კავშირი, თორემ მალე გვიანი იქნება!

რუსეთმა რატიფიცირება მოახდინა კანონისა, რომლის ძალითაც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთისა და სომხეთის სამხედრო ძალები ერთიანდებიან და ამიერიდან ერთ, მოსკოვიდან მიღებულ ბრძანებას დაემორჩილებიან!

დი აძვს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან მიმართებაში, ან უვიცი, ბრიყვი მოყვარეა, ან ჭკვიანი და შეგნებული მტერი!

ხელისუფლება კი, იმის მაგივრად, რომ სასწრაფოდ აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაიწყოს მოლაპარაკებები, იმაზე მსჯელობით არის დაკავებული, რომელი ზღაპარია უფრო მავნე ჩვენი შვილებისათვის – კომბლე თუ ხუთკუნჭულა, ნაცარქექია თუ ასფურცელა და ა.შ.

ერთი სიტყვით, ჩვენს ხელისუფლებას იმის მაგივრად, რომ განგაშის ზარები დაარისხოს, ერთ ხელში მახათი უჭირავს და მეორეში სადგისი!

თუმცა არა, არც მთლად უსაქმოდ არიან – დიდი ხანია, მესმოდა, რომ დედა ენის ბაღში ირაკლი ჩარკვიანის, მეტსახელად მეფის ძეგლი უნდა დადგანო, რაც სიმართლე გითხრათ, არ მჯეროდა, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ მართლაც დაუდგამთ!

ცნობილი გახდა რუსეთის განზრახვა გალში სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ, სადაც კრემლი 15-20 ათასი სამხედროს განთავსებას აპირებს და ყველაფერი ეს, პუტინი-ტრამპის სატელეფონო საუბრის შემდეგ! ხომ წარმოგიდგენიათ რა „სიკეთის“ მომტანი იქნება საქართველოსთვის პუტინი-ტრამპის პირისპირ შეხვედრა...

ამას გარდა, ცნობილი გახდა რუსეთის განზრახვა გალში სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ, სადაც კრემლი 15-20 ათასი სამხედროს განთავსებას აპირებს და ყველაფერი ეს, პუტინი-ტრამპის სატელეფონო საუბრის შემდეგ! ხომ წარმოგიდგენიათ რა „სიკეთის“ მომტანი იქნება საქართველოსთვის პუტინი-ტრამპის პირისპირ შეხვედრა...

ამ ყოველივეს მიუხედავად ვინც მაინც ნატოზე, ევროკავშირზე საუბრობს, ვისაც ისევ ბრიუსელ-ვაშინგტონის იმედი აქვს, სავარაუდოდ, ან ბრიყვია, ან ბოროტი!

ამ ფაქტმა, რომ იტყვიან, ააფეთქა ე.წ. ფეისბუქი ძირითადად უარყოფითი კომენტარებით, სადაც უკმაყოფილების მთავარ მიზეზად – ნარკომანს დაუდგეს ძეგლიო, ეს სახელდებოდა, რაც ვფიქრობ, არასწორია, რადგან უამრავი დიდი ხელოვანის ჩამოთვლა შემიძლია, რომელიც ან ნარკომანი იყო, ან ლოთი. თუნდაც ქართველი ნიკალა ფიროსმანი, ან რუსი მიხეილ ბულგაკოვი კმარა ჩემი ნათქვამის დასტურად – ლოთია თუ მორფინისტი – მე ვერ განვიკითხავ, რადგანაც ცოდვებისათვის იქ ვაგებთ პასუხს, როდესაც უზენაესის წინაშე წარვსდგებით!

ჩემი აზრით, საკითხი ასე უნდა დასმულიყო – ნარკომანიც რომ არ ყოფილიყო, რა, მაშინ ძეგლი უნდა დაგვედგა "შენ აფრენ" შედევრის ავტორისთვის და თანაც სად, დედა ენის ბაღში?

მაინტერესებდა, თუ რა სახსრებით დაიდგა ძეგლი და აღმოჩნდა, არა თბილისის ბიუჯეტიდან, არამედ კერძო სახსრებით, მაგრამ ნებართვა ქალაქის მერიის კულტურის სამსახურის უფროსს ია მაქაცარიას გაუცია!

ეს ის მერიის კულტურის სამსახურია, რომელმაც 4 წელიწადია, ვერ მოახერხა ველოსიპედის ძეგლის აღება და დავით აღმაშენებლის ძეგლის თავის ადგილზე დაბრუნება, რაც ჯავრად ჩავაყოლეთ საფლავში დიდ მერაბ ბერძენიშვილს!

ჰოდა, მივმართავ ქალბატონ ია მაქაცარიას – თუ გაფრენაა, ბოლომდე გავაფრინოთ და გენიალური ლექსის „შენ აფრენ“ ავტორის ნეშთი პირდაპირ მთაწმინდაზე ავასვენოთ და პოეზიის მეფე სულ ტყუილად, რომ ეგონა თავი, იმ გალაკტიონის გვერდზე გავუთხაროთ საფლავი...

დავით მხეიძე

P.S. ახლა კი ზემოთ შეპირებული პასაჟი ქალბატონ ენძელა მაჭავარიანის შესახებ:

4 წელიწადი ისე გავა, რომ ეს ქალბატონი, ალბათ, ერთხელაც არ მივა მიკროფონთან! არა და რბილ "ლ"-ზე ეტყობა, რომ მაგარი ხაჭაპურის გამოცხობა ეცოდინება და ამიტომ 4 წელიწადი ამ ქალბატონის პარლამენტში მოცდენა, პურმარილის მოყვარული ქართველი ერის წინაშე ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩადენილ კიდევ ერთ დანაშაულად მიმაჩნია!

ალბათ აქ არის უპრიანი იდიომად ქცეული ქართული ფრაზის – „ქალი სამზარეულოში“-ს ხმარება იმის იმედით, რომ იმერულ ტრადიციებზე აღზრდილ ქალბატონს ეს ხუმრობა არ ეწყინება, რადგან თავგასიებული ვანო ჯავახიშვილისგან განსხვავებით, არც ქალბატონი ენძელას რბილ „ლ“-ს დავცინი და მით უმეტეს, არც მის გამომცხვარ ხაჭაპურს თუ ისრიმ-მაყვალში „ჩადობილ“ ვარიას დავუწუნებდი გემოს...

დ. ბ.

პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაენა გშრამ გოგიაშვილმა

113

ნათლის მხედარი თავის მეგობრებთან ერთად მიუჯდება ხოლმე კოცონს.

კარგა დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთბრალდებებს უყენებენ, მაგრამ მთელ ღამეს ერთ კარავში ატარებენ და ძველ წყენებს ნელ-ნელა ივიწყებენ. დროდადრო მავანი ახალბედა შემოესწრებათ ხოლმე. რამდენადაც შემოსწრებულს არცრა აერთიანებს მეკოცონეებთან, ის მხოლოდ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობათა წარმოჩენას ცდილობს, რის გამოც ზოგიერთი როგორც მასწავლებელს, ისე უყურებს.

თუმცა ნათლის მხედარი არცროდის არ ადარებს ახალმოსულს თავის ძველ თანამებრძოლთ, „კეთილი იყოს შენი მობრძანება!“ – ეუბნება იგი შემოსწრებულ სტუმარს, მაგრამ ნდობით „მხოლოდ იმის მერე ენდობა, როცა იმის ავსა და კარგს გაიგებს, ანუ არა მარტო ღირსებას, არამედ სუსტ მხარესაც.

ნათლის მხედარი თანამოსაგრეს მანამ არ გაიყოლებს ბრძოლაში, სანამ იმის შესაძლებლობათა ზღვარს არ შეიცნობს.

114

ნათლის მხედარს გულში აქვს ამოჭრილი ერთი ძველი ხალხური გამოთქმა: „მონანიება რომ კლავდეს... არადა მან იცის, რომ მონანიება მართლაც კლავს – ნელ-ნელა, მისხალ-მისხალ უჭამს იმას სულს, ვინც ულირსი რამ ჩაიდინა და ეგრეევე თვითგანადგურებისკენ მიჰყავს.

მხედარს არ უნდა ასეთი სიკვდილი. უკეთუ ვინმესთვის ბოროტების, ზიანის ანდა რამე ზარალის მიყენება მოუნდა – რამეთუ როგორც ადამიანი, არც ის არის მოკლებული არცრა უკეთურებასა თუ ნაკლს, – არასოდეს პატიების თხოვნა არ ერცხვინება.

დრო თუ ჯერ კიდევ არ არის სამუდამოდ ხელიდან გაშვებული, იგი ძალ-ღონეს არ იშურებს თავისი შეცდომის გამოსასწორებლად. უკეთუ ის ადამიანი, ვისაც ხელი მოახვედრა, ცოცხლებში აღარ წერია, ნათლის მხედარი სულ უცნობ ვისმე უზამს სიკეთეს.

ნათლის მხედარი არ ინანიებს, რამეთუ მონანიება კლავს. ის მზად არის შესარიგებლად, რათა მოიცილოს იმ ვიღაცისთვის მიყენებული ბოროტება.

115

სუყოველ ნათლის მხედარს, ალბათ, გაუგონია დედისგან ასეთი სიტყვები:

„ჩემს შვილს ბევრი რამ იქნებ ცუდიც ჩაუდენია სიშმაგისგან გონდაკარგულს, მაგრამ როგორც ადამიანი, ძალიან კარგია“.

ნათლის მხედარი დედას დიდ პატივს სცემს, მაგრამ იცის, რომ მთლად ასე არ არის. ის თავს არ იდანაშაულებს თავისი დაუფიქრებელი საქციელისთვის, მაგრამ არც თავის ჩადენილ შეცდომებს იპატიებს, რადგან ასე თუ მოიქცა, ვეღარასოდეს თავის გზას ვერ გამოასწორებს.

საღი აზრით შეიარაღებული სჯის იგი თავის ნამოქმედართა შედეგებს, სწორედაც შედეგებს და არა იმ არაერთ განზრახულებას, რომელთა მიხედვითაც, ხელმძღვანელობდა, როცა მოქმედებდა. იგი პასუხს აგებს ყველაფერზე, რაც ჩაუდენია, – მერე რა, თუ კარგა ძვირიც უჯდება ეს პასუხისგება.

„ზენაარსი ხეს ნაყოფის მიხედვით სჯის და არა ფესვის მიხედვითო“ – ამბობს ძველი არაბული ანდაზა.

116

ნათლის მხედარი, სანამ მნიშვნელოვან რასმე გადაწყვეტდეს –

ომის გამოცხადებას, ამხანაგებთან ერთად სხვა ადგილას გადასვლას, ახალი ხოდაბუნის არჩევას – თავის თავს ეკითხება: „როგორ იჩენს თავს ეს ამბავი ჩემი შთამომავლობის მეხუთე თაობაზეო“.

ნათლის მხედარმა იცის, რომ ყოველ მოქმედებას ხანგრძლივი შედეგები აქვს. ძალიან უნდა, რომ იცოდეს, რანაირ ქვეყანას დაუტოვებს თავის შვილიშვილებს.

117

ნათლის მხედარს ურჩევენ: „ნუ ატეხ ქარიშხალს წყლის ჭიქაშიო“

თუმცა იმას ისედაც არა სჩევია სიძნელეთა გაზვიადება და ყოველთვის იმას ცდილობს, რომ აუცილებელი სიმშვიდე შეინარჩუნოს.

იმას არც სხვისი ტანჯვის ზომიერების შეფასება სჩევია.

სრულიად უმნიშვნელო რამ წვრილმანი, რასაც არცრა მნიშვნელობა არა აქვს, იმისთვის, შეიძლება რომ ფალიად იქცეს – და იმისივე მოძმის სულში დაგროვილი სასოწარკვეთილება უეცრად აფეთქდეს. ნათლის მხედარი პატივსა სცემს თავისი მოყვასის ტანჯვასა და თავის ვაი-ვაგლახს არ ადარებს.

ვაების ფიალა სუყველას თავისი აქვს.

118

„სულიერი გზის გასავლელად უწინარესად შემართებაა საჭირო“– ამბობდა განდი.

ლაჩარ კაცთ ეს წუთისოფელი საშიშრად და მრისხანედ წარმოუდგენიათ. ისინი არც არავის არ იწვევენ ბრძოლაში და არც არავის ეტანებიან საბრძოლველად, სულ მაცდური უსაფრთხოების ძიებაში არიან და მიწყივ შეთოფიარაღებულნი სდარაჯობენ იმას, რასაც თავიანთი მოკლე ჭკუით ფლობენ. ეს ლაჩარი კაცები თავადვე აგებენ თავიანთი დილეგის კედლებს.

ნათლის მხედარი აზრით ცის დასალიერის წიაღ იჭვრიტება.

მან იცის, თუ თავად არცრასა იქმს ამ ქვეყნისთვის, ამას არცვინ სხვა უფრო არ იზამს.

119

ნათლის მხედარი გულდასმით კითხულობს ქვეყნიერების სულის უსტარს ჩიკო ხავიერის მიმართ:

„სიძნელეთა გადალახვის შემდგომ მეხსიერებით იმას კი არ დაუბრუნდე, ეს რა მძიმე გზა გამოვიარეო, არამედ ის სიხარული გაიხსენე, რაც ამ გზის ღირსებით გამოვლამ გაგაცდევინა. მძიმე სენის შემდეგ რომ მოიქედურებ და ფეხზე დადგები, გადატანილ ვაებაზე ნუკი იფიქრებ, პირიქით, წყალობა არ იგულმავიწყო, უფალმა, რომელმაც გაგკურნა, სუდარა გაგახევინა.

სამარის კარამდე გახსოვდეს ის კარგი და კეთილი, რაც სიძნელეთაგან იშვა. ისინი, ის კარგი და კეთილი, შენი ძალის გამოცდად იქცევიან და რწმენას გაგიმტკიცებენ ახალ დაბრკოლებათა მიმართ.

120

ნათლის მხედარი ფრიად ყურადღებიანია ყოველდღიურობის პატარ-პატარა სასწაულთა მიმართ.

უკეთუ იმას მშვენიერების დანახვის უნარი შესწევს, ეს იმიტომ, რომ მშვენიერება თავისავე არსებაში ჩაჰბუდებია – რამეთუ ეს ქვეყანა სარკესა ჰგავს, რომელშიც თითოეული ადამიანი თავის თავსა ხედავს, თავის ანარეკლს. ის არცროდის არ ივიწყებს, რა უკეთურება სჭირს, თავისი შეზღუდულობაც მუდამ ახსოვს, მაგრამ მაინც ყველა შესაძლებლობას მიმართავს, რათა თავწყალს გავიდეს და სულიერი სიმხნევე შეინარჩუნოს.

და საბოლოოდ თვითონ ქვეყანაც შეეცდება, რომ ხელი წარუმართოს, თუმცა ყველაფერი, რაც გარშემოა, თითქოსდა ადასტურებს, რომ ეს ასე არ არის!

121

ამ სახელოსნოებში, სადაც აზრს შეიმუშავებენ, გრძნობებისა და შეგრძნებების ნაგავი გროვდება.

ეს წარსულის მტანჯველი ამბებია, ამჟამად ყოვლად უვარგისი. ეს სიფრთხილეა, წინდახედულებაა, ოდესღაც ძალზე მნიშვნელოვანი, ახლა კი უაზროა და ამაო.

მოგონებები, ცხადია, ნათლის მხედარსაც აქვს, მაგრამ იმას არ ეშლება, როგორ გამოყოს სასარგებლო და გამოსადეგი უვარგისისა და ფუჭისგან. არაერთი ძველი სიხარულისა და დარდის ნაგავს ეგრევე ყრის.

„შენ კი ყრი, მაგრამ ეგ ხომ ჩემი ნაწილია, ჩემი ბედიღბლის ნაწილია, – ეუბნება ამხანაგი. – რად უნდა დავთმო გრძნობები, ერთ დროს ჩემი ყოფა-ცხოვრების ნიშანსვეტობას რომ მიწევდნენ?“

ნათლის მხედარი იღიმება, და სულაც არა აქვს იმის მცდელობის სურვილი, რომ კვლავ იგრძნოს და განიცადოს ერთხელ უკვე ნაგრძნობ-განცდილი. ის იცვლება, სხვანაირდება – და უნდა, რომ ახალ გზაზე შემდგარს გრძნობებიც განახლებული ახლდეს.

122

დანაღვლიანებულ ნათლის მხედარს მოძღვარი ეზრახება:

„შენ ისეთი არა ხარ, როგორიც დანაღვლიანებული ჩანხარ, შენ ბევრად მეტი ხარ.



გაიხსენე, რაოდენ ბევრი ხალხი გავიდა გაღმა სოფელში, რის მიზეზსაც ვერც ვერასოდეს ვერ გავიგებთ, – შენ კი ისევ აქა ხარ, ამ სოფლად. რატომ მიიხმო ღმერთმა ასეთი არაჩვეულებრივი ხალხი თავისთან, შენ კი არ შეგხმიანებია?

აგერ ამ წუთას უკვე მილიონობით ადამიანია სასოწარკვეთილი.

ისინი არც ვისმე ემდურებიან, არც იცრემლებიან; ხელჩაქნეულები არცრა საქმეს არ იქმან, დგანან და ელიან დრო-ჟამი როდის ჩამოიმარცვლება.

იმათ აღარ აგულისყურებთ, რაც ამქვეყნად ხდება. დაგულისყურების უნარი დაკარგეს.

შენ კი, იმათგან განსხვავებით, მოწყენილი და ნაღვლიანი ხარ.

ნაღველი ადასტურებს, რომ სული შენი არ მისიკვდილებულა.

123

ფიცხელ ბრძოლაში, თითქოს ბოლო რომ არ უჩანს, ნათლის მხედარს ხან მავანი რამ იდეა გაუნათებს ხოლმე გონებას, და გამარჯვებაც აღარ აყოვნებს.

და გამარჯვებულს ფიქრი იპყრობს: „რიღას გულისთვის ვიტანჯე მთელი ამდენი დრო და რაღასთვის გავაჯანჯლე ბრძოლა, რომლის მოგებაც თურმე ბევრად ნაკლები ძალებით შემეძლო, ვიდრე მე ამ მტრის ძლევას მოვანდომეო?“

ჭეშმარიტად, რაგინდარა ამოცანა გადაწყვეტის შემდეგ ძალზე მარტივად გამოიყურება. და დიდი წარმატება, რომელსაც თითქმის უძალისხმევოდ მიაღწია – როგორც რომ ახლა ეჩვენება – უკანასკნელი რგოლი იყო იმ წვრილ-წვრილ გამარჯვებათა შორის, რომლებიც თვალს არ შეუმჩნევია.

ნათლის მხედრისთვის ცხადი ხდება მომხდარის აზრი და მშვიდად იძინებს. და იმის მაგივრად, რომ თავი დაიდანაშაულოს, ძალიან დიდხანს მოვუნდი მიზნისკენ სვლასო, პირიქით, გახარებულია, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც მივიდა დასახულ მიზანთან.

124

ამრიგად, ლოცვა ორგვარი სახისაა.

პირველია, როცა ადამიანიშვილი ღმერთს ევედრება, ისეთი რამ მოახდინე, რაც ჩამაგონებს, ცხოვრებაში როგორ უნდა მოვიქცეო. მოქმედებისთვის არცრა დრო, არცრა სივრცე არ ეძლევა **ყოვლისა მპყრობელს.** ის კი, რომელმაც უფრორე მეტი და კარგად უწყის, რაც სინამდვილეში ბევრად უკეთესი იქნება სუყოველი ჩვენგანისთვის, არ ისმენს, ყურთ არ ატყობინებს ასეთ ლოცვას და იმის ქმნას განაგრძობს, რაც რომ საჭიროდ მიაჩნია.

და მავედრებელს, ლოცვის აღმავლენელს, გრძნობა უჩნდება, რომ ლოცვა ვერ მიაწვდინა შემოქმედს.

მეორე ლოცვაა – როცა ადამიანიშვილს არც ესმის, რა გზები გაჰყავს **გამჩენს,** და ელოდება, როდის აუსრულდება ცხოვრებაში **ზენაარსის** განგებულებანი.

ის ევედრება, ამარიდე ვაი-ვაგლახი და ტანჯვა-წვალებაო, ევედრება, ზეგარდმომივლინე სულის სიმხნევე **სამართლიანი ბრძოლისათვისო,** თანაც არ ავიწყდება და ყოველ წამს იმეორებს: „იყოს ნება შენი!“

ნათლის მხედარი სწორედ აგრე ლოცულობს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-222

კეთილდღეობის რეიტინგში საკმაოდ ჩამოვრჩით

იმის მიუხედავად, რომ ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარი ყოფით უკმაყოფილოა, სხვადასხვა გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მრავალი ჩვენნაირი პოტენციალის მქონე და დაახლოებით ასეთივე პირობებში მყოფი ქვეყანა იმ შედეგის მიღწევასაც ვერ ახერხებს, რა შედეგიც სადღეისოდ საქართველოშია საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით.

ამ მხრივ, ერთობ ნიშანდობლივია ცოტა ხნის წინათ დიდი ბრიტანეთის ანალიტიკური ცენტრის „ემათუმ ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებული ეგრეთ წოდებული „კეთილდღეობის ინდექსი“, რომელშიც 149 ქვეყნის შესაბამისი მონაცემებია გაანალიზებული. ამ ნუსხაში საქართველოს წლევანდელი 84-ე პოზიცია შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე ოთხი პუნქტით გაუარესებულია — 2015 წელს „კეთილდღეობის ინდექსში“ ქვეყანას მე-80 ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული.

აღსანიშნავია, რომ „კეთილდღეობის ინდექსის“, ისევე, როგორც მრავალი სხვა ანალოგიური სარეიტინგო გამოკვლევის ჩამტარებლები, საბოლოო შედეგს სხვადასხვა მონაცემთა დაჯამების შემდგომ იღებენ. მათ შორისაა, კერძოდ, სოციალური კაპიტალი, სახელმწიფო მართვა, განათლება, ბიზნესგარემო, უსაფრთხოება და დაცულობა და ა.შ. საგულისხმოა, რომ შესაფასებელი კატეგორიებიდან ყველაზე მაღალი სარეიტინგო პოზიცია საქართველოს **სახელმწიფო მართვისა და განათლების სფეროში** აქვს (შესაბამისად, 54-ე და 55-ე ადგილები), ყველაზე ცუდი მაჩვენებელი კი **სოციალურ კაპიტალს** აქვს (139-ე ადგილი). რაც შეეხება სხვა პარამეტრებს, ბრიტანელმა ექსპერტებმა საქართველოში **ბიზნესგარემოს** 66-ე, **უსაფრთხოებასა და დაცულობას** — 78-ე, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში — 94-ე, **ჯანდაცვის სფეროში** — 96-ე, **გარემოს დაცვაში** კი 124-ე ადგილები მიაკუთვნეს.

საკმაოდ არასახარბიელო მაჩვენებელთა მიუხედავად, ბრიტანელი ექსპერტები მაინც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ **„რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს საკმაოდ კარგი შედეგები აქვს, ვინაიდან ანალოგიური სიმდიდრის მქონე აზერბაიჯანსა (103-ე ადგილი) და სომხეთს (99-ე ადგილი) კეთილდღეობის თვალსაზრისით დეფიციტი გაცილებით მეტი აქვთ“**. გარდა ამისა, კვლევაში ისიცაა აღნიშნული, რომ კეთილდღეობის ინდექსის შედგენისას მხედველობაში იყო მიღებული ეგრეთ წოდებული „კეთილდღეობის დისბალანსის“ ინდიკატორი, რომელიც ქვეყნის მიერ წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ **საქართველოს აქვს „კეთილდღეობის მცირე დეფიციტი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებულ სიმდიდრესთან შედარებით, სახელმწიფო თავიანთ მოქალაქეთა უზრუნველყოფაზე ნაკლებად ზრუნავს.**

„კეთილდღეობის რეიტინგის“ კვლევის ავტორთა აზრით, საქართველოს წინსვლის ყველაზე მეტად შემაფერხებელი ფაქტორებია **სოციალური კაპიტალი და გარემო**. თუმცა კი იმასაც დასძენენ, რომ ქვეყნის მიერ მიღწეული შედეგი მაინც საკმაოდ შთამბეჭდავია გასული საუკუნის 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირებისა და შემდგომი სეპარატისტული კონფლიქტების ფონზე.

„2003 წლის ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გატარებული რეფორმები, ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. რეფორმების საბოლოო მიზანი ქვეყნისთვის დასავლური განვითარების გზის არჩევანის გაკეთება დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გზით იყო, რომელიც ევროინტეგრაციასა და რუსეთის კონტროლისგან თავის დაღწევაზე გადიოდა“, — ნათქვამია, „კეთილდღეობის რეიტინგის“ ანგარიშში.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან, რეიტინგში მიჩენილი პოზიციების თვალსაზრისით საგულისხმოა **ესტონეთისა** და **ლატვიის** მოწინავე პოზიციები (შესაბამისად, 26-ე და 37-ე ადგილები), ასევე **რუსეთის, ბელარუსისა** და **უკრაინის** ცუდი შედეგები (შესაბამისად, 95-ე 108-ე და 107-ე ადგილები).

რაც შეეხება, ასე ვთქვათ, „დანარჩენ მსოფლიოს“, „კეთილდღეობის ინდექსის“ მოწინავე ქვეყნები, ბრიტანელ ექსპერტთა აზრით, არიან, **ახალი ზელანდია, ნორვეგია, ფინეთი, შვეიცარია** და **კანადა**. ამ მხრივ ყველა მძიმე მდგომარეობა კი, როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, **კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სუდანში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ავღანეთსა** და **იემენშია**.

წლის მიწურულისთვის კეთილდღეობის თავიანთ ანალიზს ასევე შვეიცარიული ბანკის „კრედი სუისის“ რეგულარული კვლევა „გლობალ ველთჩ რიფორთი“ გვთავაზობს. გამოკვლევაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კეთილდღეობის დონემ წლეულს დაიწია **დიდ ბრიტანეთში, რუსეთსა** და **ჩინეთში, იაპონია** კი, ისევე, როგორც წლების მანძილზე, ტრადიციულად მაღალი კეთილდღეობის ქვეყნის სტატუსს ინარჩუნებს. ამასთან, მისი ავტორები აღნიშნავენ, რომ **წლეულს მსოფლიო კეთილდღეობის დონე 1,4 პროცენტით გაიზარდა, 2015-2016 წლებში კი დედამიწის მოსახლეობა მთლიანად 3,45 ტრილიონი დოლარით, ანუ 255,6 ტრილიონ დოლარამდე გამდიდრდა.**

როგორც ვთქვით, ამ რეიტინგის ლიდერია **იაპონია,** რომლის მოქალაქეთა ქონებამ 3,9 ტრილიონი დოლარით მოიმატა და 24 ტრილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა კი ამის ძირითად მიზეზად სპეციალისტები ეროვნული ვალუტის — იენის დოლარის მიმართ გამყარებას უკავშირებენ. მეორე ადგილზეა **ამერიკის შეერთებული შტატები,** სადაც ეროვნული სიმდიდრე 1,7 ტრილიონი დოლარით გაიზარდა და 85 ტრილიონი დოლარის ნიშნულს მიაღწია. ექვსი ქვეყნის, მათ შორის **გერმანიის, საფრანგეთის, კანადის, ახალი ზელანდიის, ინდონეზიისა** და **ბრაზილიის** მოსახლეობა კი ამ ხნის მანძილზე მთლიანად 100 მილიარდი დოლარით გამდიდრდა.

რეიტინგის მთავარი აუტსაიდერია **დიდი ბრიტანეთი,** რაც ევროკავშირიდან მისი გასვლის შემდეგ გირვანქა სტერლინგის გაუფასურებითაა გამოწვეული. დიდი ზარალი ნახა **რუსეთისა** და **მექსიკის** მოსახლეობამ, სადაც ხალხმა, მთლიანად 198 მილიარდი დოლარი დაკარგა.

ისიც უნდა ითქვას, რომ **ოჯახური კეთილდღეობის მაჩვენებლები** შედარებით განსხვავებულ სურათს იძლევა. ყველაზე მეტად საანგარიშო პერიოდში გამდიდრდნენ ოჯახები **იაპონიასა** და **ახალ ზელანდიაში,** რომელთა ქონება, შესაბამისად, 19 და 14 პროცენტით გაიზარდა. მესამე ადგილზეა **ჰონგკონგი,** გაღარიბების ლიდერები კი არიან **არგენტინული** (—27 პროცენტი), **რუსეთული** (—18 პროცენტი) და **უკრაინული** (—14,4 პროცენტი) ოჯახები.

ისე კი **მსოფლიოს უმდიდრესი მოსახლეობა ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში, ავსტრალიასა და იაპონიაში ცხოვრობს, სადაც ყველაზე მეტი ადამიანია, ვისი პირადი ქონება 100 ათას დოლარს აღემატება.** საშუალო-მაღალი კეთილდღეობის ქვეყნების რიცხვში კი, სადაც ერთ ადამიანზე 25 — 100 ათასი დოლარის ქონება მოდის, მოხვდნენ **პორტუგალია, სლოვენია, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ბაჰრეინი, ლიბანი, ომანი, საუდის არაბეთი, ჰონგკონგი, ტაივანი, ჩილე, კოსტა-რიკა და ურუგვაი. პირადი კეთილდღეობის საშუალო დონის** ქვეყნის ნუსხაში კი, სადაც ერთ სულზე 5-25 ათასი დოლარი მოდის, შედიან **რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესი ნაწილი, ჩინეთი, ბრაზილია, მექსიკა და ინდონეზია.**

დასახლებულ ქვეყნებთან შედარებით **გაცილებით ღარიბია ცენტრალური აზიის, ცენტრალური აფრიკის, ინდოეთის, ბაგლადეშის, კამბოჯის, ბელარუსის, მოლდავისა** და **უკრაინის** მოსახლეობა, სადაც უმეტესობის პირადი კეთილდღეობის დონე 5 ათას დოლარს არ აღემატება.

გამოკვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ **2000 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოს მოსახლეობაში სიმდიდრის განაწილებაში იზრდება განვითარებადი ქვეყნების წილი — ამ მაჩვენებელმა 16 წელიწადში 18 პროცენტით მოიმატა.** თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **იზრდება მოსახლეობაში ქონებრივი უთანასწორობაც — 2010 წელს დედამიწაზე უმდიდრეს ადამიანთა 10 პროცენტი მსოფლიოს მთელი აქტივების 50 პროცენტს ფლობდა, დღესდღეობით კი მას უკვე ამ აქტივების 89 პროცენტი ეკუთვნის!**

ოთარ ტურაბელიძე

„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!“

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დონორთა უანგარო აქციას „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ მეორედ შეუერთდა.

დონაციის აქციის დროს გაღებული სისხლით საქართველოს სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებების უსაფრთხო სისხლის კომპონენტებით უზრუნველყოფა მოხდება.

„სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დირექტორის მოადგილე მარინა რუხაძემ სასჯელაღსრულების სამინისტროს აქციაში ჩართვისა და სისხლის უსასყიდლოდ ჩაბარებისათვის მადლობა გადაუხადა.

„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები უკვე მეორედ აქტიურად არიან ჩართული აქციაში. ისინი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით აბარებენ სისხლს და თითოეული მათგანის მიერ გაღებული სისხლი გადაარჩენს მრავალი ადამიანის სიცოცხლეს და შეუნარჩუნებს ჯანმრთელობას“, — განაცხადა მარინა რუხაძემ.

ახალი გზა ფონიჭალიდან გუგუთამდე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაასრულა. აღნიშნული გზა ქვემო ქართლის რეგიონსა და სომხეთის რესპუბლიკას თბილისთან უმოკლესი მანძილით აკავშირებს. დასრულებული სამუშაოები საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გივი ჩოჩიამ დაათვალიერა.

გზის 15-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ორ ობიექტად ახორციელებდა. პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგზაო მონაკვეთებს.

დმანისის ტერიტორიის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ეს გზა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახადა, რადგან სწორედ სარეაბილიტაციო საგზაო მონაკვეთის საშუალებით შეუძლიათ ტურისტებს იმ ადგილებთან დაკავშირება.

მოძრაობის გაზრდილი ინტენსივობის გამო, აუცილებელი გახდა არსებული გზის გაგანიერება.

სარეაბილიტაციო სამუშოები 2015 წლის ნოემბერში დაიწყო. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა საერთო ღირებულებამ 19 მილიონ 78.2 ათასი ლარი შეადგინა.

ზამთრის არდადეგები სკოლამდელთათვის

თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში ზამთრის არდადეგები 2016 წლის 29 დეკემბერს დაიწყება. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებით არდადეგები 10 დღის განმავლობაში გაგრძელდება.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დედაქალაქის ყველა საჯარო ბაღში 2017 წლის 8 იანვარს განახლდება.

მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟთა სამსჯავროზე

როსტომ ჩხეიძის ახალი პიესის განხილვა



თვითონ მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუნიშნავს უბის ჩანაწერებში 1924 და 1930-იან წლებში:

— ჩემი პერსონაჟები იკრიბებიან და მასამართლებენ — რა კარგი თემაა მოთხრობისათვის.

მეორედ ჩანიშვნისას იმასაც ჩამოთვლის, თუ რომელ პერსონაჟებს გულისხმობს — უწინარესად ჯაყო ჯივაშვილს, კვაჭი კვაჭანტირაძესა და თეიმურაზ ხევისთავს.

და გული გწყდება, რომ ხორცშეუსხმელი დარჩენია მწერალს ეს ჩანაფიქრი, ისევე, როგორც ბევრი სხვა სიუჟეტი, რომანად, მოთხრობად თუ ნოველად რომ ვერ იქცა და იმავე ჩანაწერებშივე დარჩა აუხდენელ ოცნებად.

ამ აუხდენელ ოცნებებს თუ შესჭიდებია **როსტომ ჩხეიძე,** ვისი შემოქმედებაც მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ ძლიერ ვარჯადაც მოგვვლენია, რასაც **ინგა მილორავა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში** გამართული შეხვედრის გახსნისას დაადასტურებს, **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების** — იმავე ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** — თაოსნობით გამართულ შეკრებაზე, სადაც როსტომ ჩხეიძემ ფრაგმენტები წაიკითხა თავისი ახალი პიესიდან **„ბედი მდევარი“**.

შთამბეჭდავი, ნახევრად მისტიკური, საგულისხმო, სულიერი ძაფები თვითონ „ჯაყოს ხიზნების“ შემოქმედთან რომ გაბმულა — ასეთია პიესა, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟები იკრიბებიან და ასამართლებენ მწერალს, იმ მწერალს, ქვეყნის დრამატული ბედისწერა საზოგადოებრივ სამსჯავროზე რომ გამოიტანა და კიდეც შეეწირა მსხვერპლად იმპერიასთან ასეთ შეჭიდებას...

გული წყდებოდა როსტომ ჩხეიძესაც, დაუწერელი რომ დარჩენოდა მიხეილ ჯავახიშვილს ეს მოთხრობა და კიდეც უტრიალებდა სიუჟეტს, მანამდე არაერთი მწერალი რომ აუფორიაქებია — არაერთ შემოქმედს რომ ახირებიან საკუთარი პერსონაჟები (მიგელ დე უნამუნო იქნებოდა, ლუიჯი პირანდელო თუ სხვანი) — თუმცა ვერა და ვერ გამოუძებნია ძაფის ის ბოლო, წერას რომ დააწყებინებდა.

და აი, შთამაგონებელი აღმოჩნდებოდა გორში მისსავე პიესის მიხედვით **სოსო ნემსაძის** მიერ დადგმული სპექტაკლი **„იის სურნელი თოვლში“**, უფრო სწორად, მთავარი გმირის იაკობ გოგებაშვილის როლის შემსრულებელი, **სოსო მგალობლიშვილი,** ვინც გარეგნულად ისე ჩამოჰგავდა მიხეილ ჯავახიშვილს, წარმოდგენის შემდეგ გამართულ ბანკეტზე იოსებ ჭუმბურიძეს უთქვამს: მარტო პიესებ დაწერაღა თუ დარჩა, მწერლის როლის შემსრულებელი უკვე გვყავსო.

და კიდეც დაპირებია ბატონი როსტომი შეკრებილებს პიესას მიხეილ ჯავახიშვილზე.

შეჰპირებია და შეუსრულებია კიდეც.

19-იდან 24 აგვისტომდე იწერებოდა ეს პიესა, ფერიცვალობიდან მარიამობამდე, გადამწყვეტ დღეებში1924 წლის აჯანყების მომზადებისა.

აკი თვითონ მიხეილ ჯავახიშვილიც, თავისი შემოქმედებითი მრწამსით, 1924 წლიდან მოდის.

1924 წელს ეხმიანება „ჯაყოს ხიზნებიც“, „გივი შადურიც“ და სხვა არაერთი მოთხრობაც...

ამ ტკივილზე ამოზრდილა ეს პიესაც, რომლის თითოეული პერსონაჟი, **თემურ ქორიძის** თქმით, მთელი თავისი სისავსით არის წარმოდგენილი; ის ფინალური სცენა კი, ბიბლიური რემინისცენციებით შექმნილი და ჯვარცმად გასიმბოლოებული, ისეთ ტრაგიკულ ჟღერადობას იძენს, რომ ყველა ასეთი ტანჯული, წამებული პერსონაჟი, როგორც ეს ქრისტიანობაშია მიღებული, წილნაყარი და ნამდვილი მოზიარე ხდება მაცხოვრის ხვედრისა.

ამ საინტერესო და საგულისხმოდ გაზრებულმა ფინალმა გამოიწვია ის ხმაურიანი დისკუსიაც, **თემურ ქორიძესა** და თეატრმცოდნე **მაკა ვასაძეს** შორის (რომელმაც, სხვათა შორის, ძალიან მოიწონა როსტომ ჩხეიძის არტისტიზმი პიესის კითხვისას) რომ გაიმართა შეხვედრაზე. და ამიტომაც დასძინა **მანანა გაბაშვილმა,** რომ ამგვარ პიესებს გამომაფხიზლებელი ფუნქცია აქვთ და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებენ, რომ ადამიანის, პიროვნებისა თუ ერის მორალური მკვლელობა ფიზიკურ მკვლელობაზე უარესია.

სწორედ ამ კუთხით წამოწია ოთარ და როსტომ ჩხეიძეების როლი ქართულ მწერლობაში პროფესიით ექიმმა **დიმიტრი კორძაიამ** და აღნიშნა, რომ ისინი ყველაზე გულმოდგინე, თავგადაკლული და უკომპრომისო მიმდევრები არიან ჩვენს ლიტერატურაში იმ ხაზისა, რასაც ჰქვია ანტისაბჭოთა განწყობა და რუსეთის, როგორც იმპერიული ძალის გააზრება საქართველოს ბედისწერაში:

— ხანდახან მგონია, მამა-შვილი ჩხეიძეები იმიტომ მოევლინნენ ჩვენს ქვეყანას, რომ რაც შეიძლება ბევრისთვის გაეხადათ ეს საცნაური.

კიდევ უფრო მეტი ადამიანი რომ გაერთიანოს ამ საფიქრალმა, შეხვედრაზე ბევრმა გამომსვლელმა ისურვა ამ პიესის სპექტაკლად ხილვა.

თეატრმცოდნე **ნიკა წულუკიძის** თქმით კი, ეს პიესა სულაც გამზადებული სცენარია, რომელსაც რეჟისორიც არ სჭირდება, ისე შეიძლება გადატანა სცენაზე. თუმცა თემურ ქორიძემ შეხვედრაზე **თემურ ჩხეიძის** ის გულისტკივილი გაიხსენა, „ჩვენი მწერლობის“ სალონის ერთ-ერთ საღამოზე რომ გამოუხატავს: „ერთი იდეა... ერთი იდეა მაინც რომ აღმომაჩენინა ხელმოსაჭიდი, რომელსაც დავდგამდი“... და სწორედ ასეთ საუკეთესო იდეად წარმოსახა „ბედი მდევარი“.

გურამ ბათიაშვილი როსტომ ჩხეიძის ოცნებას გამოეხმაურა — ცალკე, დამოუკიდებლად, პოლიტიკური თეატრის არსებობას — და აღნიშნა, რომ დასაწყისისათვის კარგი მასალაც ექნებოდათ რეჟისორებს ამ მწერლის პიესების სახით, რომლებსაც თვითონ, როგორც დრამატურგი, თეატრის ცხოვრებაშიც რომ უდგას ფეხი, ტანჯულ ქართველ მოღვაწეთა ბედისწერის ციკლად გააერთიანებდა. მისი თქმით, ამას არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს, ბევრწილად რომ განსაზღვრავს ჩვენი ახალგაზრდობის, მომავალი თაობის და სულაც მთელი ერის ცნობიერებას.

— მართლაც აუცილებლად უნდა დაიდგასო, — ეს უკვე **ინგა მილორავამ** დასძინა შეხვედრაზე და კიდეც შეკრა საღამო, რომელიც როსტომ ჩხეიძის დეკლამატორული ნიჭითაც დაამახსოვრდებათ შეკრებილებს, — უნდა დაიდგას, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ გამოცხადებული ლიბერალიზმის ეპოქაში და საკუთარი აზრისთვის ქვა რომ არ გვესროლოს ვინმემ და ჯაყო არ იყოს ჩვენი მოსამართლე, ასეთი პიესებიც, ასეთი სპექტაკლებიც და ასეთი მწერლებიც ძალიან სჭირდება საქართველოსო.

დემეტრე ქარელი,
„მედიანიუსი“

გვჭირდება საკურორტო ტურისტული გადასახადი?

ეს ხომ თბილისში ტურისტების რაოდენობას შეამცირებს

თბილისში ტურიზმის გადასახადის დაწესებას ტურიზმის სპეციალისტები გაუმართლებლად მიიჩნევენ. როგორც ცნობილია, მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრი ბექა ოდიშარია თბილისის ტურისტულ ნაწილში ე.წ. საკურორტო ტურისტული გადასახადის დაწესების ინიციატივით გამოვიდა.

ოდიშარიას თქმით, გადასახადის დაწესება აპრობირებული მეთოდია მსოფლიოს ბევრ ისტორიულ ქალაქსა და ქვეყანაში და ეს ხელს შეუწყობს დედაქალაქის ტურისტული ზონის გაფართოებას. ოდიშარიამ შესაბამისი ინიციატივით მთავრობის ეკონომიკური გუნდის კანდიდატებს რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მიმართა.

„ინფრასტრუქტურული ხელშეწყობა, განვითარება, ე.წ. ტურისტული ზონის გაფართოება არის ძალიან მნიშვნელოვანი. აღმაშენებლის გამზირზე განხორციელებულმა ახალი თბილისის პროექტმა გვაჩვენა მრავალმხრივი ეფექტი. ხალხს აქვს მოლოდინი ძველ თბილისში, რომელიც მარტო კრწანისი არ არის და მოიცავს მთაწმინდას და ჩუღურეთსაც, რომ მათ ქუჩაზეც მოვა გაზაფხული. ეკონომიკის მინისტრს და ფინანსთა მინისტრს ვთხოვ, რომ გაჩნდეს ე.წ. საკურორტო ტურისტული გადასახადი. ბაქოში ეს წარმატებული პროექტია. მზად ვართ, თბილისის მაჟორიტარები ჩავერთოთ ამ დისკუსიაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოგვცემს სერიოზულ ფისკალურ ეფექტს ზედმეტი დანახარჯების გარეშე. ასეთი გადასახადი არ აწვება ვიზიტორებს, არანაირად არ იწვევს ასხლეტას ტურისტების და ჩვენ გაგვიჩნდება შესაძლებლობა ბუნებრივად მოხდეს ტურისტული ზონების განვითარება“, — განაცხადა ოდიშარიამ.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, იწონებენ თუ არა ტურიზმის სფეროს სპეციალისტები პარლამენტის წევრის ინიციატივას და გაამართლებს თუ არა მისი დაწესება?

ტურიზმის ექსპერტი **ნიკა კვარაცხელია** აცხადებს, რომ თბილისში საკურორტო გადასახადის დაწესება გარკვეულ გაუგებრობებს გამოიწვევს. მისი თქმით, როდესაც დედაქალაქი სტუმრების მისაღებად ემზადება, ის მათ დასახვედრად რაღაცასაც აკეთებს.

როგორც კვარაცხელია ამბობს, როდესაც ევროპის ქვეყნები ქალაქის მოსაკრებელს იღებენ, მათ ტურისტებისთვის სამაგიერო შეთავზებები აქვთ. მათ შორის, 1-2-დღიანი აბონემენტები საზოგადოებრივი ტრანსპორტით სიარულისთვის და ასე შემდეგ. კვარაცხელიას განმარტებით, საქართველოში მსგავსი სისტემა არ მოქმედებს.

მისი განმარტებით, საერთაშორისო მასშტაბით საქალაქო ტურიზმისთვის თითქმის ყველა დედაქალაქს აქვს მოსაკრებელი დაწესებული. მაგალითად, ბერლინში ეს არის 2 პროცენტი, რომელსაც სასტუმროებში იხდიან. ამიტომ, ტურიზმისთვის ეს ფორმა უცხო არ არის. თუმცა, როგორც კვარაცხელია აცხადებს, ზედმეტი გადასახადი, განსაკუთრებით ეკონომ ტურისტებს არ უყვართ. **„ვინც ღამეს ათევს 10-20-ლარიან სასტუმროში, რომელსაც ჩვენ ჰოსტელებს ვეძახით, ეს მათთვის მისაღები არ იქნება“** — აცხადებს კვარაცხელია.

მისივე თქმით, თბილისში საკურორტო გადასახადის დაწესება ეკონომ ტურისტების რაოდენობას, სავარაუდოდ, შეამცირებს. როგორც კვარაცხელია ამბობს, თუ დაწესდება აღნიშნული გადასახადი, მაშინ ის დიფერენცირებული სახით უნდა დაწესდეს. **„უნდა განისაზღვროს, ვინ იქნება გადამხდელი და ვინ არა. მაგალითად, ეს შეეხება ტურისტულ ჯგუფებს თუ ინდივიდუალურად ჩამოსულ ვიზიტორებსაც“,** — აცხადებს კვარაცხელია.

მისივე განმარტებით, საკურორტო მოსაკრებელს აწესებენ კურორტები. თბილისი კი ოფიციალურად კურორტი არ არის. შედეგად, შეუსაბამოა ქალაქისთვის საკურორტო გადასახადის დაწესება, რომელიც არ არის დედაქალაქი და არა აქვს კურორტის სტატუსი და არ არის შეტანილი ქვეყნის კურორტების ნუსხაში. მისი თქმით, საქართველოში 102 კურორტია და აქ თბილისი არ შედის.

თბილისში საკურორტო გადასახადის დაწესებას სკეპტიკურად უყურებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოფილი **თავმჯდომარე მაია სიდამონიძეც.** მისი შეფასებით, მსოფლიოს მასშტაბით დაბეგვრის ასეთი ფორმა არსებობს, თუმცა დღეს საქართველო არ არის იმ პოზიციაში, რომ თავისი ტურისტული პროდუქტი კიდევ ზედმეტი დაბეგვრით გააძვიროს. სიდამონიძის განმარტებით, დღეს კონკურენცია არამარტო მომსახურებაზე და პროდუქტის შეთავაზებაზეა, არამედ, ფასებშიც.

სიდამონიძეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მთელი ეს პროცესი გამჭირვალე იქნება, ანუ რამდენი ფული შეგროვდება და რაში დაიხარჯება. მისთვის გაუგებარია, რამდენ მილიონ ლარზეა საუბარი, რომელსაც მთავრობა ტურიზმის განვითარების დაფინანსებისთვის ვერ იმეტებს.

„აქედან გამომდინარე, ეს დაეზიანებს ჩვენს კონკურენტუნარიანობას, რადგან საგრძნობლად გააძვირებს ტურისტულ პროდუქტს. მეორე მხრივ, ეს იქნება გამჭვირვალე პროცესი და დარწმუნებული ვარ, კერძო სექტორი ვერ დავინახავთ რამდენი ფული შეგროვდება და სად წავა. მესამე, მე არ ვფიქრობ, რომ ამ კონკრეტული ინიციატივიდან იმდენი ფული შეგროვდება, რომ სახელმწიფოს ულირდეს ამისი დანერგვა“, — აცხადებს სიდამონიძე.

სოფო ქსოვრელი

◎ საფეხბურთო მოზაიკა

გიორგი ჭანტურიას დაახლოებით ექვსი თვე გაუცდება

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ეკატერინბურგის „ურალის“ შემტევი გიორგი ჭანტურია ტრავმის გამო მოედანზე გასვლას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ შეძლებს.

ქართველი ფეხბურთელი რუსეთის ჩემპიონატის მე-15 ტურში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეხვედრის (1:1) 57-ე წუთზე დაშავდა. „ურალის“ ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, სამედიცინო გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ გიორგის მუხლის მყესები აქვს დაზიანებული და უახლოეს პერიოდში ოპერაცია ჩაუტარდება. კლუბის სამედიცინო შტაბის პირველადი პროგნოზით, აღდგენითი პროცესი დაახლოებით ექვსი თვე გასტანს.

რონალდუს საეჭვოა

„ელ კლასიკომ“, შესაძლოა, არამარტო ლიონელ მესის, არამედ კრიშტიანუ რონალდუს გარეშეც ჩაიაროს. როგორც გამოცემა „ასი“ გვამცნობს, პორტუგალიელ ვარსკვლავს კუნთების დაზიანება აღენიშნება და „ბარსელონასთან“ 3 დეკემბერს სტუმრად გასამართ მატჩში მისი თამაში საეჭვოა.

ეს კი ზინედინ ზიდანისთვის უდავოდ თავსატეხი უნდა იყოს, რადგან „სამეფო კლუბს“ ერთი წამყვანი ფეხბურთელი – გარეტ ბეილი უკვე ტრავმირებული ჰყავს და „ელ კლასიკოში“ უელსელი ვერ ითამაშებს.

◎ ტრაგედია

ბრაზილიური საფეხბურთო კლუბი ავიაკატასტროფაში მოჰყვა

თვითმფრინავმა, რომლითაც ბრაზილიური საფეხბურთო კლუბი „შაპეკოენსე“ ბოლივიიდან კოლუმბიაში მიემგზავრებოდა, კატასტროფა განიცადა. როგორც The Guardian-ი იტყობინება, ავიალაინერი მედელინის აეროპორტის სიახლოვეს ჩამოვარდა. ტრაგედიის მიზეზად ელექტროაღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლა სახელდება.

თვითმფრინავის ბორტზე 72 მგზავრი და ეკიპაჟის 9 წევრი იმყოფებოდა. ბოლო ინფორმაციით, მაშველებმა 10 ადამიანის გადარჩენა მოახერხეს. გადარჩენილები ახლომდებარე საავადმყოფოებში გადაიყვანეს და მათი ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

ბრაზილიური საფეხბურთო კლუბი აღნიშნული რეისით, რომელსაც ავიაკომპანია „ლამიას“ თვითმფრინავი ასრულებდა, კოლუმბიურ „ატლეტიკო ნასიონალთან“ სამხრეთ ამერიკის თასის ფინალური მატჩის გასამართავად მიემგზავრებოდა.

გიორგი შოთაძე

◎ ჭიდაობა

საქართველოს სახელით

დღეს და ხვალ უკრაინის ქალაქ ხარკოვში მსოფლიოს რიგით მესამე საკლუბო ჩემპიონატი გაიმართება თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრება გუნდური ფორმატით კედელი კედელზე ჩატარდება და მასში მსოფლიოს 12 საუკეთესო კლუბი მიიღებს მონაწილეობას. დღეს ჯგუფური ეტაპის შეხვედრები გაიმართება, ხვალ კი – ფინალები. მსოფლიო თასის გამარჯვებული გუნდი 25 000$-ს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული – 15 000$, ხოლო მესამე – 10 000$.

ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ლადო ხინჩეგაშვილი შარშანდელი მსოფლიო საკლუბო თასის გამარჯვებულია. მან ფინალში ირანული კლუბის შემადგენლობაში აშშ-ს გუნდი დაამარცხა, ამჯერად კი აშშ-ს კლუბ „ტიტანი მერკურის“ შემადგენლობაში იჭიდავებს, სადაც ასევე მეორე ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი კაილ სნაიდერიც გამოვა. რეგლამენტის თანახმად, თითოეულ კლუბს მხოლოდ 2 უცხოელი მოჭიდავის დამატება შეუძლია.

მსოფლიოს საკლუბო თასზე საქართველოს ღირსებას გიორგი გოგშელიძის მიერ ახლადდაფუძნებული გუნდი „ჩემპიონი“ დაიცავს, რომელიც შემდეგი შემადგენლობით იასპარეზებს:

57 კგ – ბექა ბუჯიაშვილი, 61 კგ – შოთა ფარტენაძე, 65 კგ – ლევან ქელეხსაშვილი, 70 კგ – ალექსანდრე ჯაჭვაძე, 74 კგ – ავთანდილ კენჭაძე, ნიკა კენჭაძე, 86 კგ – ნოდარ ეგაძე, 97 კგ – ელიზბარ ოდიკაძე, 125 კგ – გიორგი მეშვილდიშვილი, გუნდის ხელმძღვანელი: გიორგი გოგშელიძე.

მსაჯი: ზაზა ჯიბლაძე.

ბადრი იაშვილი



◎ კალათბურთი



მორიგი მსხვერპლი - „ატლანტა“

ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ ზედიზედ მე-12 გამარჯვება მიითვალა. „მეომრებმა“ ეს გუშინ ოკლენდში მძიმე ბრძოლაში მოახერხეს. ოქროს შტატს ესტუმრა ფაჩულიას ყოფილი გუნდი „ატლანტა“, რომელმაც ზაზას მერე ალ ჰორფორდიც დაათრეიდა და ამ სეზონის წინ „ჰიუსტონიდან“ წამოიყვანა ნბა-ს ყველაზე მასიური და სახელიანი ცენტრი დუაიტ ჰოვარდი. „სუპერმენისა“ და სხვა ყოჩაღი ატლანტელების მეოხებით ოკლენდელებმა გვარიანად ინერვიულეს, მაგრამ ისე არ გატყდნენ, რომ 11-მატჩიანი წაუგებელი სერია შინაურ არენაზე შეეწყვიტათ.

თამაში თანაბარი იყო და მასპინძლებმა ვერ გატეხეს „ატლანტა“, რომელსაც მარჯვედ მიუძღვოდა სანაკრებო დონეზე ფაჩულიას მომავალი მეტოქე – გერმანელი დენის შრიოდერი. „გოლდენ სტეიტი“ მესამე პერიოდის უმეტესობას აგებდა, ბოლო პერიოდი კი ოკლენდელებმა ერთქულიანი ჩამორჩენით დაიწყეს.

გადამწყვეტ 12-წუთეულში „გოლდენ სტეიტის“ ლიდერების – კევინ დიურანტისა და სტეფ კარის მექულეობით მასპინძლებმა ხელჩასაჭიდი ლიდერობის მოპოვება მოახერხეს, რაც გუნდური და დრეიმონდ გრინის გონივრული თამაშით ბოლომდე შეინარჩუნეს – 105:100.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 16 წუთი დაჰყო. ზაზამ თავი არავის დააჩაგვრინა და იმ დროში, რაც პარკეტზე გაატარა, საკმაოდ შედეგიანად გაისარჯა. ოკლენდელთა 27-მა ნომერმა 2-დან ორივე ორიანი ჩააგდო და 4 ქულას 6 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიაყოლა. გამარჯვებულთაგან 25-25 ქულით სტეფ კარი და კევინ დიურანტი გამოირჩნენ. ამ უკანასკნელმა 14 მოხსნაც მიითვალა და მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. ატლანტელთაგან 24 ქულით საუკეთესო იყო შრიოდერი, ხოლო დუაიტ ჰოვარდის ანგარიშზე 14 ქულა და 16 მოხსნა დაგროვდა.

ამ მოგებით ოკლენდელებმა დასავლეთ კონფერენციაში ლიდერობა გაიმყარეს და ახლა 16 მოგების წილ 2 მარცხი გააჩნიათ. შემდეგი მატჩი ფაჩულიას გუნდს 2 დეკემბერს, ისევ შინ, „ჰიუსტონთან“ ელის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერები

ქართველთა მუშტი-კრივი საფრანგეთში

პრო დ2-ში საკმაოდ ბევრი ქართველი თამაშობს, მაგრამ მათი უძლიერესი ნაწილი ნაკრებში იყო გამოძახებული და გასულ ტურში არ მონაწილეობდა, ხოლო ვინც საფრანგეთში დარჩა, თავი დიდად არ გამოუჩენია, თუ არ ჩავთვლით 4(!) სინბინს. უფრო მეტიც, ერთ შემთხვევაში რეფერიმ ორი ქართველი სულაც ერთმანეთთან ჩხუბისთვის გააძევა მინდვრიდან.

ვეტერანი მარჯვენა ბურჯი ელიზბარ ყუფარაძე თავისი „დაქსის“ სასტარტო შემადგენლობაში იყო, ხოლო მეორე ნახევრის მე-4 წუთზე თამაშში გიორგი თეთრაშვილი ჩაერთო – „აჟენის“ მარცხენა ბურჯი, ვისაც ყუფარაძის პირისპირ მოუწია დადგომამ. ჰოდა, ქართველთა პირველივე შერკინებამ სიტუაცია დაძაბა, თამაშში თეთრაშვილის ჩართვიდან 5 წუთში კი ქართველები მუშტი-კრივზე გადასულან და მსაჯმა ორივე მიაბრძანა 10-10 წუთით. როცა თეთრაშვილი მინდორზე დაბრუნდა, „აჟენის“ მწვრთნელმა მასთან ერთად თამაშში მარჯვენა ბურჯი ვახტანგ ახობაძეც ჩართო, ყუფარაძე კი 66-ეზე გამოცვალეს. „აჟენმა“ ურთულესი გასვლითი მატჩი 32:30 მოიგო და ცხრილის მე-2 საფეხურზე ავიდა. იმასღა დავძენთ, რომ სტუმრებს ნაკრებში გამოძახებული თამაზ მჭედლიძე აკლდათ.

„აჟენი“ მეორე საფეხურზე ავიდაო, ვთქვით და მანამდე ეს ადგილი „კოლომიეს“ ეკავა, მაგრამ რუმინეთის ნაკრებში გამოძახებული ოთარ ტურაშვილის კლუბმა „ალბისთან“ გასვლაზე 17:29 წააგო და ამ უკანასკნელს ასევე ქართველი პირველხაზელი გაუძევეს. „ალბის“ სასტარტო №1 ვიზავისთან აშკარად იჩაგრებოდა და მწვრთნელმა მის ნაცვლად ბექა შეყლაშვილი უკვე 25-ე წუთზე შეიყვანა. ამით მასპინძელდა შერკინება დალაგდა, მაგრამ 36-ეზე ქართველმა ბურჯმა მეტოქის პასი წესების დარღვევით ჩაჭრა და რეფერიმ გაასინბინა.

და კიდევ ერთი ქართული სინბინის შესახებ. მერაბ შარიქაძის, ლევან დათუნაშვილისა და ნიკოლოზ ხატიაშვილის „ორიაკი“ ანგულემში უიმედოდ დამარცხდა – 5:36, არადა უფრო ავტორიტეტულ გუნდად კი მიიჩნევა. შარიქაძე და „ანგულემის“ ფლანკერი შალვა სუთიაშვილი, მოგეხსენებათ, „ბორჯღალოსნების“ შემადგენლობაში შოტლანდიაში იმყოფებოდნენ, ხოლო ხატიაშვილი და დათუნაშვილი „ორიაკის“ სასტარტო თხუთმეტეულში იყვნენ. ჰოდა, 26-ე წუთზე ხატიაშვილმა „ანგულემის“ შეტევა წესების დარღვევით შეაჩერა და რეფერიმ სწორედ ამის გამო გაასინბინა. 10 წუთში დაბრუნებულმა ბურჯმა მე-60 წუთამდე ითამაშა, ვიდრე შეცვლიდნენ, ხოლო ვეტერანმა დათუნაშვილმა შეუცვლელად იბურთავა.

ბექა გორგაძის „მონ-დე-მარსანმა“ ბიარიცში 22:26 წააგო, ხოლო 20 წლის ქართველი ფლანკერი შეცვლაზე 69-ე წუთზე შევიდა.

ირაკლი მირცხულავა გათამაშების ლიდერის „ოიონას“ განაცხადში კი იყო, მაგრამ თამაშში არ ჩართულა, მისმა გუნდმა კი „ვანი“ 52:21 გაანადგურა. სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში მყოფი მარცხენა ბურჯი არჩილ ბეჟიაშვილი 57-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი, 48-ეზე, შეცვლაზე მეორეხაზელი ვახტანგ მაისურაძე შევიდა.

კობა კობახიძე

მუშაობა ნაკლები და ხარისხიანი ჯობს

ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 40 წელს გადაცილებულ პირთათვის მუშაობის ოპტიმალური დროა დღეში 5 საათი.

ითვლება, რომ აქტიური მოქმედება თავის ტვინის მუშაობას აუმჯობესებს და დაბერების საშუალებას არ აძლევს. ეს ასე კია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრი მუშაობის შემდეგ ეს პოზიტიური მოქმედება წყდება, ადამიანის ინტელექტუალური ნიჭი და შრომის ნაყოფიერება ქვეითდება.

მელბურნის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში 40 წლამდე ასაკის 6,5 ათასი კაცი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ, დღეში 5-6 საათის (კვირაში 20-30 საათზე ნაკლების) მუშაობისას თავის ტვინის ფუნქციები იზრდება; 6-7 საათის (კვირაში 30-35 საათის) მუშაობისას, თავის ტვინის ფუნქციები იკლებს; დღეში 8 საათზე მეტის (კვირაში 40 საათს გადაჭარბებული) მუშაობისას ეს ფუნქციები მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო დღეში 12 საათი (კვირაში 60 საათს) მუშაობის შემდეგ თავის ტვინის ფუნქციები უმუშევრებზე უფრო მეტად მცირდება.

ადრეული დიაგნოსტიკა

მკერდის კიბოს დიაგნოსტირება ახლო მომავალში... აზღუდით იქნება შესაძლებელი.

ავთვისებიანი სიმსივნის გაჩენა მკერდში სისხლის ნაკადის მოჭარბებას იწვევს, რასაც ტემპერატურის ადგილობრივი მატება მოყვება. ინფრაწითელი სენსორებით აღჭურვილი აზღუდი ამ პროცესს და, შესაბამისად, სნეულების წარმოშობას ადრეულ სტადიაზე ავლენს.

გადაღლის მიზეზი

სმარტფონი ძლიერი დაღლილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყოფილა.

ისინი, ვისაც გამუდმებით ხელში გაჯეტი უკავიათ, სხვებზე გაცილებით ხშირად უჩივიან ფიზიკურ და ემოციურ დაღლილობას. როგორც ჩანს, ამის მიზეზი იმ მრავალი ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობაა, რომელსაც თავის ტვინი ერთდროულად რამდენიმე ამოცანის მიღებისას იღებს (ესენია თამაშები, ფოსტის შემოწმება და ა. შ.).

ყვავი და კნუტი დაძმობილდნენ...

მასაჩუსეტსის შტატის ერთ-ერთი ფერმის მეპატრონის ოჯახს უპატრონო კატის კნუტი მიეკედლა. იმის გამო, რომ ფერმერს და მისი ოჯახის წევრებს მისთვის არ ეცალათ, საბრალო კნუტის ბედი, ცოტა არ იყოს, საეჭვო იყო, მაგრამ მალე მას ისეთი მფარველი გამოუჩნდა, ნეტავი ყველას შეახვედრა.

შავ-თეთრი კნუტის პატრონობა უზარმაზარმა შავმა ყვავმა ითავა: მას კატისთვის საჭმელი მიჰქონდა და ყველა საფრთხისგან იცავდა, თან საკმაოდ მოხერხებულადაც — აგდებდა ძაღლებსა და უცხო დიდ კატებს და რამდენიმე მეტრის სიახლოვესაც არ უშვებდა.

ასეთი უცნაური მეგობრობის ამბავი რომ შეიტყვეს, კნუტს ყურადღება ფერმის პატრონებმაც მიაქციეს და მას კესი დაარქვეს, ყვავს კი — მოსე. რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთმა ფერმერმა ამ უჩვეულო მეგობრობის ამბის შესახებ წიგნიც კი დაწერა, რომელსაც საფუძვლად მოსესა და კესის თავგადასავლები დაუდო.

დიეტა მაჩოსთვის



მამაკაცის ორგანიზმში ნორმალური ჰორმონალური დონის შესანარჩუნებლად, საჭიროა საკმაო ოდენობით ცილების (მჭლე ხორცის, ფრინველის, ხაჭოს), ცხიმებისა (ზეითუნის ზეთის, ცხიმიანი თევზის, ნიგვზის) და ვიტამინების მიღება.

ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია B ჯგუფის (ბურღული), ასევე E ჯგუფისა (ზეითუნის ზეთი) და A ჯგუფის (სტაფილო, გოგრა, ღვიძლი) ვიტამინები. კარგი იქნება, თუკი ამ ნივთიერებებს არა მარტო საკვებიდან, არამედ დამატებით სპეციალური კომპლექსების სახით მიიღებთ. ტესტოსტერონის დონის ამწევი მინერალებიდან აღსანიშნავია ცინკი, რომელსაც დიდი ოდენობით შეიცავენ ზღვის პროდუქტები, სოკოები, საზამთროს კურკა.

იმის გამო, რომ ტესტოსტერონი ქოლესტერინიდან წარმოიშვება, რაციონი კვერცხსაც და ნაღების კარაქსაც უნდა შეიცავდეს, თუმცა კი მცირე ოდენობით. ნახშირბადების (განსაკუთრებით სწრაფების, მაგალითად, მაკარონის, ნამცხვრის, ტკბილეულის) მიღება კი უმჯობესია, შეამციროთ.

მამაკაცისთვის იდეალური გარნირია ყვავილოვანი კომბოსტო ან მოხრაკული ბროკოლი, რომელიც მისი ორგანიზმისთვის მეტად სასარგებლო ფერმენტებს შეიცავს.

სუნთქვა... წყლით

რუსეთის ერთ-ერთ საინჟინრო-კვლევით ცენტრში მეცნიერებმა... სითხით სუნთქვის ტექნოლოგია შეიმუშავეს.

მისი მიზანია ჩაძირული ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების მგზავრებისა და ეკიპატეჟების გადარჩენა. სრულიად ფანტასტიკური ტექნოლოგიის არსი ისაა, რომ ჰაერის მაგივრად ფილტვები... ჟანგბადით გაჯერებული სითხით ივსება. ჟანგბადი ადამიანის სისხლის ნაკადში ხვდება და მას სიცოცხლეს უნარჩუნებს.

ჯერჯერობით ექსპერიმენტებს ძაღლებზე ატარებენ — მათ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად ნახევარი საათის განმავლობაში 500 მეტრის სიღრმეზე შეუძლიათ სუნთქვა.

საბრალო ბატონ ოსბოუნის გასაჭირი

სლოკინი, რომელიც ადამიანს ზოგჯერ წარმოეშვება ხოლმე და მოკლე ხანს გრძელდება, ორგანიზმისთვის საშიში არ არის. მისი შეწყვეტის ერთ-ერთი „ხალხური მეთოდი“ კი კაცის შეშინებაა.

მსოფლიოში ყველაზე დიდი „მესლოკინე“ ამერიკელი მეღორე ჩარლზ ოსბოუნი ყოფილა, რომელიც შეუჩერებლად 69 წლის განმავლობაში ასლოკინებდა წამ-ნახევრის პერიოდულობით და, საბოლოო ანგარიშით, 430 მილიონჯერ დაასლოკინა. ეს უპირობო რეფლექსი ადამიანს ნებისმიერ ასაკში აქვს, ის ცხოველებსაც ახასიათებს. ულტრაბგერითი გამოკვლევებით დადგინდა, რომ დედის მუცლად ყოფნისას ჩვილი სლოკინს სიცოცხლის მეორე თვეზე იწყებს.

დიდი ხნის მანძილზე მეცნიერება სლოკინს „არ ამჩნევდა“, არადა, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ძალიან ტყუილადაც, ვინაიდან ის, თურმე, მეტად სერიოზულ დაავადებათა მაცნე ყოფილა. არსებობს სლოკინის შეწყვეტის მრავალი ხერხი, კერძოდ:

ჩაის კოვზი დამსხვრეული ყინულის გადაყლაპვა; ერთი ჩაის კოვზი ლიმონის მჟავის დალევა; თვალის კაკალზე თითის მსუბუქად დაჭერა; მკერდზე ყინულის ნატეხის დადება; თითებით ყურების მაგრად დაცობა და რამდენიმე წუთით ასე გაჩერება; ყურების თითებით დაცობა და წინ გადახრილი წყლის დალევა; ძლიერად, ტკივილამდე არათითის ორი მხრიდან მოჭერა; ძლიერად, მკვეთრი მოძრაობით მუხლების მკერდთან მიტანა, რამაც დიაფრაგმაზე უნდა იმოქმედოს; ყელის გამოვლება ძალიან ცივი ან,

პირიქით, ძალიან ცხელი წყლით; ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილის ჭამა და სხვა.

თავი ზედმეტად რომ არ აიტკიოთ...

ბევრი ეჭვობს — დალიოს ტკივილგამაყუჩებელი აბები თავის ზომიერი ტკივილის დროს თუ ცოტა ხანს შეიცადოს და „ქიმიით“ თავი არ მოიწამლოს?



თავის ტკივილის ყველაზე გავრცელებული ფორმა ეგრეთწოდებული „დაძაბულობის თავის ტკივილია“. დასახელებიდანაც ჩანს, რომ მისი პროფილაქტიკაა ცხვრების სწორი წესი, მავნე ჩვევებზე უარის თქმა, სტრესებზე გონივრულად რეაგირება და ა.შ. ტკივილის მოთმენა საჭირო არ არის, მაგრამ თუკი აბებს დღეგამოშვებით იღებთ, უმჯობესია, საკითხი მკურნალ ექიმთან განიხილოთ, რომელმაც, შესაძლოა, პროფილაქტიკური მოქმედების სპეციალური პრეპარატები დაგინიშნოთ. ესენი, როგორც წესი, პირველი თაობის ანტიდეპრესანტების მცირე დოზებია.

გახსოვდეთ ისეთი ვითარების შესახებ, როცა თავის ტკივილის მოთმენა არ შეიძლება და აუცილებელია სამედიცინო დახმარება: ესაა, კერძოდ, ცხოვრებაში პირველად წარმოშობილი ძლიერი თავის ტკივილი; სხეულის მდგომარეობის შეცვლის დროს წარმოშობილი თავის ტკივილი; ხველების დროს თავის ტკივილი, ასევე ისეთი, რომელსაც მეტყველების დარღვევა, სახის ასიმეტრია, ხელების დაბრუჟება და სხვა ნევროლოგიური სიმპტომატიკა ახლავს.

სიმსუქნის გენები

მამაკაცის წონა მის... სპერმაზე აისახება, რის გამო ტანსრულ მამებს სიმსუქნისკენ თავიანთი მიდრეკილების გადაცემა შვილებისთვის შეუძლიათ, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს.

მათ 13 გამხდარი და 10 მსუქანი მამაკაცის სპერმა შეადარეს და დაადგინეს განსხვავებები დნკ-მოლეკულების „ნიშნულებში“, რომლებიც გენების აქტივობაზე არიან პასუხისმგებელი. „გადაადგილებული“ აღმოჩნდა 9 ათასი, მათ შორის FTO-გენი, რომელსაც სპეციალისტები „სიმსუქნის გენს“ უწოდებენ.

მკვლევარებმა ჭარბი წონის მოხალისეებს გახდომა შესთავაზეს კუჭის შუნტირების ოპერაციით გზით. რამდენიმე კვირაში სპერმის „ნიშნულები“ 1500, ერთი წლის შემდეგ კი 4 ათას გენს შეეცვალა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 23 იანვარს, 15⁰⁰ საათზე, სოფელ ლეჩურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება მდინარე სტორზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მდინარე სტორზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

— კომპანიის ოფისში, მისამართი: თბილისი, მიროტაძის №1 შპს „სტორი“ და შპს „გოტა21“ ტელეფონი: 599551109

— სოფელ ლეჩურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მობ: 551599825

დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.moe.gov.ge www.telavi-temi.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 23 იანვარი, 14⁰⁰ საათი.

◎ მსოფლიოს სიახლენი

რუსეთის მოსახლეობას დასავლეთთან დაახლოება სურს

რუსეთში დასავლეთის ქვეყნებთან მეგობრობის მსურველთა რაოდენობა მატულობს. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს „ლევადა ცენტრი“ აქვეყნებს. გამოკითხულთა 71 პროცენტი მიიჩნევს, რომ დასავლეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები უნდა გაღრმავდეს. დასავლეთს რუსეთის მტრად მხოლოდ რესპონდენტთა 27 პროცენტი მიიჩნევს.

ტაილანდს ახალი მეფე ჰყავს

ტაილანდის პარლამენტმა სამეფო ტახტი მახა ვაჩირალონგკორნს შესთავაზა. ტრადიციის თანახმად, 64 წლის პრინცმა შეთავაზება ოფიციალურად უნდა მიიღოს, რის შემდეგაც მისი კორონაცია გაიმართება. ამჟამად ვაჩირალონგკორნი გერმანიაში იმყოფება. მამამისი, ტაილანდის მეფე პხუმიპონ ადულიადეტი 13 ოქტომბერს 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქვეყანას ის 1946 წლიდან მართავდა.

ბელარუსში სიკვდილით კიდევ ერთი ადამიანი დასაჯეს

ბელარუსში სასიკვდილო განაჩენი აღასრულეს. ივან კულეში 3 მკვლელობაში, ყაჩაღობაში, ქურდობასა და კიდევ ერთი მკვლელობის მცდელობაში იყო ბრალდებული. სასიკვდილო განაჩენი მას გასული წლის 20 ნოემბერს გამოუტანეს. მიმდინარე წლის 29 მარტს სააპელაციო პროცესზე კულეშმა ჩადენილი დანაშაულის გამო სინანული გამოთქვა და განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს ეთანხმება. პრეზიდენტისთვის მას შეწყალება არ უთხოვია.

მონტენეგროში ახალი მთავრობა დაამტკიცეს

პრემიერ-მინისტრი დუშკო მარკოვიჩი პირობას დებს, რომ 2017 წლის ბოლომდე მთავრობა ნატოში ინტეგრაციის პროცესს მთლიანად დაასრულებს. 16 ოქტომბრს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში მარკოვიჩის სოციალისტთა პარტიამ გაიმარჯვა, თუმცა 81-ადგილიან პარლამენტში უმრავლესობა ვერ მიიღო. სოციალისტებმა სოციალ-დემოკრატებთან და მცირე პარტიებთან გაერთიანებით კოალიცია შექმნეს.

იაპონიაში ფრინველის გრიპის ეპიდემიამ იფეთქა



იაპონიაში H5N8 შტამის ვირუსი გამოავლინეს. ეპიდემიამ ნიიგატას პრეფექტურაში იფეთქა. ადგილობრივ ფერმებში კარანტინი გამოცხადდა. ეპიდემიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად 310 ათას სულ ქათამს და 16,5 ათას სულ ბატს გაანადგურებენ.

იტალიამ წელს 171 ათასი მიგრანტი შეიფვარა

იტალიაში მიგრანტების რაოდენობა რეკორდულ მაჩვენებლამდე გაიზარდა. ამის შესახებ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინება. უწყების მონაცემებით, 2016 წელს იტალიის ტერიტორიაზე 171 ათასზე მეტი ლტოლვილი გადავიდა. გაეროს მონაცემებით, ევროპის ტერიტორიაზე გადასვლის მცდელობისას წელს 4690 მიგრანტი დაიღუპა.

◎ ანეკდოტები

ისე კი, ცოლი ავტომანქანასავით უნდა იყოს: ჰქონდეს თანამედროვე დიზაინი, ლამაზი, ეკონომიური და რაც შეიძლება მეტი ცხენის ძალის მქონე.

* * *

კარგი ცოლი ყველა სიკეთესთან ერთად დღეში სამჯერადი კვების მუდმივი აბონემენტიცაა.

* * *

— ჟიჟიკია, ბიჭო, რაია, ძამიკო, პაემანზე ყვავილების, თაიგულების გარეშე რომ მიდიხარ?

— სამაგიეროდ, ტრუსები მაქვს გვირილებით მოჩითული!..

* * *

— ძალო, შენ რა, სულელი ხარ, შუქნიშნის წითელზე რომ გადიხარ?

— რა ვიცი, აბა, გენაცვალე, დილით რომ მივდიოდი, თითქოს მწვანე ენთო და...

* * *

ზაურიას ავტობიოგრაფიიდან:

„მე რომ დავიბადე, მამაჩემმა ჩვენ სოფელში ყველა წერო ერთიანად დახოცა“

* * *

— ბიჭო, ლავრენტი, რატომ გაქვს ასეთი გაოგნებულ-გამოშტერებული სახის გამომეტყველება?

— ვცდილობ, სათანადოდ განვეწყო, რადგან ხვალ ქორწილი მელის.

— ვისი ქორწილი, ჩემო კარგო?

— საკუთარი.

* * *

მდივან ქალს შეფის კაბინეტში ახალგაზრდა მამაკაცი შეჰყავს და ეუბნება:

— აი, ახლა ხომ შენი თვალით დარწმუნდი, რომ ეს ჩემი დირექტორი უშნო, ბებერი, მელოტი და ღიპგადმოგდებული ტიპია! თან რომ იცოდე, რა ბრტყელ-ბრტყელი ხუმრობები იცის!..

◎ ინტერნეტიდან

სილვია არავის დავიწყებია

ვეტერანი ჰოლანდიელი ფეხბურთელის რაფაელ ვან დერ ვაარტის შესახებ ბოლო დროს არაფერი გვსმენია. ანდა რა უნდა გაიგო კაცზე, რომელმაც თავისი სათამაშო უკვე ითამაშა და თავისი წილი ოფლი უკვე კარგა ხნის წინათ დაღვარა. სამაგიეროდ, კვლავ პოპულარულია რაფაელის ცოლი, მოდელი სილვია ვან დერ ვაარტი.

სილვია რამდენიმე ცნობილ ჟურნალთან თანამშრომლობს. აქამდე იგი მხოლოდ მოდელის იმიჯით კმაყოფილდებოდა და არც შემოსავლის სიმცირეს უჩიოდა. თუმცა, როგორ ჩანს, ეს ნიდერლანდელი ლამაზმანისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა და სილვია ვან დერ ვაარტმა გადაწყვიტა, საკუთარი სამოდელო ფოტოსტუდია გახსნას.

როგორც თავად მოდელი ამბობს, მისი ფოტოსტუდია ძირითადად საზოგადოებისათვის უცნობი მოდელების მოძიებასა და პოპულარიზაციაზე გააკეთებს აქცენტს. ამას გარდა, სილვიას მიერ დამოძღვრილი და დაფრთიანებული ახალბედა ლამაზმანები ევროპაში გამომავალი სხვადასხვა ფერადი ჟურნალების ყდებსაც დაამშვენებენ.

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5078; ევრო - 2.6670;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1177;
100 რუბლი - 3.8591; თურქული ლირა - 0.7324;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4299;
1000 სომხური დრამი - 5.2355.

ამინდი 30 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე -4	დღე +12
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +5	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -1	დღე +11
თბილისი:	ღამე +2	დღე +14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE